# ცისკარი.

**1864**

ივნისი.

## წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:

I — ბაღის მცხოვრები. (მოთხრობა) გ. დიდებულიძისა.

II — ლექსები: 1, ვარდი — თ. დავ. მაჩაბლისა 2, ჩანგურის ქალა — თ. აკ. წერეთლისა. — 3, ე. ქ. ა. ლ. კნ. ან. ანდრონიკოვისა.

III — კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამდინ საქართველოში ყეენის ქასრკსი, — ი. მოსიძისა.

IV — სხუა და სხუა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ბალის მცხოვრები.

## ისტორიული მოთხრობა.

ბალიელი ნიშნავს ბალის მცხოვრებსა; და ბალი ჰქჳან პატარა კუნძულსა აღმოსავლეთისაკენ მახლობლად დიდის იავის კუნძულისა. მშჳენიერი კუნძულია ეს ბალის კუნძული! იქ არიან მრავალნი მთანი; მიწაა იქ ნაყოფიერი; ცა მადლიანი; ზღჳა ყოვლის მხრიდამ უბერავს იმ კუნძულს სიგრილეს. ხალხიც სცხოვრებს იქა მრთელი, მაგარი, მოყვანილი, ლამაზი, იმასთანავე გონიერი. და შრომის მოყჳარე. იქ ყოველი ნაჭერი მიწისა შემუშავებულია მშჳენიერად, კაკიდამ მოყოლებული მთის წვერამდინ. მცხოვრებნი არიან, თითონ მუშანი, რომელთაც დიდათ სურთ, რომ ყოველი მოძრავი იქ მუშაობდეს, და ყოველსავე მცენარეს მოჰქონდეს ნაყოფი. ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ყავა და სხჳა მცენარე იქ მშჳენიერს მდგომიარებაში არიან; ეს ცოტაა კიდევ: ისინი

იმასთანავე არიან ჩინებულნი ხელოსანნი; დიდის გმაყოლებით და გემოთი აკეთებენ ფოლადისა, ვერცხლისა და ოქროს სხჳა და სხჳა ნივთებსა; ქსოვენ ფარჩებსა და სწნავენ მშჳენიერს გალათებსა; სხჳა და სხჳა გუნძულებიდამ მოდიან იქ მრავალნი ნავები სავაჭროთ.

სარწმუნოება აქჳსთ ბრახმანისა; სწამთ სამი ღჳთაება; ბრახმა — ღმერთი შემოქმედი, შივა — ღმერთი დამარღვეველი და ვიშნუ — ღმერთი აღმადგენელი დარღვეულისა.

ბალდიელებს სწამთ ბევრი რამ ტყუილი და მოგონილი, მაგრამ კარგის ზნეობისანი კი არიან და თავის სჯულს ასრულებენ მტკიცეთ: როგორც კი გამოაჩენენ ვისმეში დანაშაულობას, ან ქურდობას, ან კაცის კვლას, მაშ ნვე დასჯიან სიკჳდილით უფროსებათ ჰყავთ თავიანთი რაჯები ანუ თავადები; ეს პატარა სამშობლო ქჳეყანა ბალდიელებს უყჳართ ძლიერათ და მზა არიან დაიცჳან სხვის მთავრობისაგან ყოვლის ღონისძიებით მართალია ეხლანდელს დროში იძულებულ არიან შეიწყნარებდენ გოლლანდიელების უფლებას; მაგრამ ეს ისე მხოლოდ ფორმისათჳს და თუ ჩამოუვარდება რამე იმათში უკმაყოფილება, მაშინ ქალი თუ კაცი მზა არიან აიღონ შუბები და ხანჯალები, და შეებან მტერს ომში, მოხუცებულიდგან პატარა ყმაწვილამდინ ახსოვთ ისევ იმათ ერთი სამწუხარო ისტორია, რომლისაც მიზეზი იყო ევროპიელი კაცი.

ჩუმ წელსა, სეკდემბრის თჳეში, ყმაწვილი ინდოელი კაცი ჩამოეშვა ნაყოფიერის მთებისგან ბალიგოტის ზღვის ტოტისაკენ, და თუმცა იმათ შუა იდვა მშვენიერი და განიერი გზა, მაგრამ მიიულს არ უყვარს სიარული იმ

გვარის გზით. და ამიტომ აირჩია ბილიკა გზა და განგლიდა დაბურვილის ტყეებით და ბუჩქებით; ის ჰპოვებდა საკუთარს კმაყოფილებას ამ გვარს ძნელს გზაში, და როგორც გარეთხა ადვილად და გაბედულად დახტოდა ერთის ქვიდამ მეორეზედ ჩამოკიდებულს ფლატობზედა, ვაჟკაცობა, ღონე, სიმარჯვე და გამბედაობა, სჩანდნენ თვითეულს იმის მოძრაობაში, იმის გარეშემო ბუნებაში იყო მოდებული დიდის სიმშჳენიერე; მზე ჯერეთ არა სწვავდა; შუქი იმისი თამაშობდა მსხვილს ნამის წვეთებზედ ხეთ ფურცლებისა და ყვავილებზედ, და მით უმატებდა ბუნებას მეტს სიცოცხლეს და მშჳენიერებას. ბუჩქნარის მცენარენი იყჳნენ დატჳრთულნი სხჳა და ფერის ყვავილებით და მშჳენიერის ნაყოფით, იმათის კეთილ სუნოვანის ტევრისაგან ამოეყოთ თავები მშჳენიერათ მოყვანილთ ბზის ხეებსა. მარჯანის ხეები, რომელნიც იმდროს იდგნენ უფოთოლონი, იყჳნენ ასხმულნი მოწეულის სადაფით აქა იქ მწჳანისა და ყვავილებიდგან იყურებოდენ შავათ ქოხები.

ბუნება იყო წყნარი; ნელი ნიავი ძლივს არხევდა ბზის წვერებსა; და ხალხშიაც ჯერ არ იყო დაწყებული ძლიერი მოძრაობა. მხოლოდ აქა იქ მუშაობდნენ ორიოლნი ანუ სამსამნი კაცნი; ისინი სჭრიდნენ ბრინჯსა და აწყობდნენ ქოხების სართულზედ, წითელი თეთრგულიანი შავარდენი მარტო ხელად დაფრინავდა იქ ცაში, დაეძებდა თავისთჳს საშოვარსა; გუნდი ფარშავანგთა, თხრილთან მჯდომარე, გამგონი რაღაც შრიალისა, ჯგუფათ აფრინდა ხეებზედ და უყურებდა იქიდამ უმაწვილს მოსიარულეს.

მაგრამ ყმაწვილი ინდოელი კი ვერა რას ხედავდა, არა ესმოდა რა; ის იყო მძიმეთ დაფიქრებული, და ძლივს გრძნობდა, რომ გარეშემო იმას ეშუქრებოდენ: ზოგან მომწამლავის გველის ენა, ზოგან იმ გვარივე ხე, და ზოგან საზარელი გადასავარდნი, ის, როგორც რკინის კაციარღვევდა გაბმულს ბუჩქნარს და ადგამდა ფეხს გაუფრთხილებელად სადაც მოხჳდებოდა. ამ სახეთ მიაწია ერთს პატარა მთის წვერამდინ, გაჩერდა მცირეს ვაკიანს ადგილზედ და უყურებდა იქიდამ ზღვის ტოტის ნაპირსა.

იქიდამ შორს, ბზის ტყისა შორის სჩანდა პატარა ქალაქი კოტა, და იმას იქით ელვარებდა, დაყვარდოვანებდა ალერსიანი ზღჳა სხჳა და სხჳა ადგილს, ზოგი ახლოს და ზოგი შორს, როგორც მოსეირნე მფრინველნი მოძრაობდენ იალქნები, ხან თეთრათ, როგორც თოვლი, და ხან მოწეულის ფერათ, როგორც განთიადის დილის მზე იყვნენ კიტაელთ კუნძულის მცხოვრებთა ეს ნავები. მარჯვნის თავთხელს იქით იდგა როგორც ზღვიდგან მოსული მტერი, ერთი დიდი ხომალდი, იმაში იყო სულ ყოველივე უცხო, უცნობი, უჩჳეულო იქ მცხოვრებთათჳს. საზარელი, სქელი, იმ წვრილს და გრძელს ნავებთან ის სჩანდა ზღჳს ვეშაპათ, გაწმენდილი, გალევარებული, მსუბუქად გადადა-გადმოდიოდა ის ხან ერთს და ხან მეორეს გვერდზედ, და აემართა რა წყალ ზევით დიდზედ თავისი ცხვირი, ის შეურაცხებით იყურებოდა გარშემო; იმისი განიერი დიდრონი იალქნები თითქო ნთქამდა სრულს ზღვისა ნიავსა. იმისის ანძიდგან გამოფენილი იყო გოლლანდიის ფლაგი

ეს ყმაწვილი კაცი გაჩერდა, დაიკრიფა გულხელი და ჩუმათ დიდ ხანს უყურებდა ხან მწვანე ხეებსა და ხან მშჳენიერს ლაჟვარდს ზღვასა, და წარმოუდგებოდა იმას თითქო ყოველივე შესცქეროდა იმასაც. ის იყო უმჯობესი ქმნულება თავისის მხარისა: მოყვანილი როგორც ბზა, მაგარი როგორც ფოლადი, გაჟკაცი, ახალგაზდა, ორი თვალი იმისი, როგორც ორი ძლიერი შუქი ცეცხლიანის მზისა, იყურებოდა იმისისა ახოვანის სხეულისაგან; თმა ჰქონდა გრძელი და რბილი, როგორც შავი აბრეშუმი; ელვარე თითბრის ფერი სხეული სდებდა იმისს სახესა მშჳენიერებას სტატუისას, და კეთილ შობილურის ამპარტავნულს და დაფიქრებულს გამოხატულებებსა. იმის სახეში ცხადად სჩნდა სიცოცხლე, გაბედულობა და ძალა.

ის იყო ჩაცმული თავისის სამშობლო დასახატავ ტანისამოსით: თავზედ, ვითარცა რიდე ედვა თალხი ხელსახოცი წითელის და ყვითელის ზოლებით, რომელშიაც სჩანდა ჯაბუკოვანი და მშჳენიერი იმისი თმა; სრულიად იმისი სხეული კოტებამდინ იყო გახვეული იმ გვარსავე ფარჩაში. მარცხენა მხარზედ ჰქონდა გადაგდებული პლაში, შოტლანდიის პლაშჩისა მსგავსი, მაგრამ ბევრით იმაზედ უმშჳენიერესი. წინ ეკიდა ჯიბე მშჳენიერათ დაწნული ბამბუკის ხისგან, გვერდზედ ეკიდა გრძელი ვიწრო ხანჯალი; იმ ხანჯლის ქარქაში გაკეთებული განსაკჳრვებელის ხელოვნებით, იყო მორთული ოქროს ბალთებით. ხელები მხრებამდინ, და ფეხები მუხლებამდინ ჰქონდა შიშვლები. მხოლოდ მარცხენა ხელის მაჯაზედ ჰქონდა რაღაც ბრასლეტის მსგავსად გაკეთებული ძო-

წყლის აკაციის მარცვლებისგან, ეს აძლევდა იმას ცოტა ქალის სახეს, თუმცადა არც სულში და არც მოყვანილო-ბაში არა ჰქონდა რა ქალის მსგავსება.

იმას ეჭირა გრძელი, ვიწრო შუბი რკინისა წვეტიანი, და შვილდისარი, რომლისაც ისარს ჰქონდა წასმული სა-წამლავი

ის მიეყუდა ერთს ქუასა, დაებჯინა თავის შუბზედ, უყურა დიდ ხანს ზღვასა და სთქუა დაღონებულმა მთრ-თოლვარის ხმითა: კიდევ და კიდევ ხომალდი! კიდევ ეს საძულველი სამგყროვანი ღრომა! ისინი ამბობენ, რომ მოდიან ჩუენთან, როგორც მეგობარნი, ჩუენის სარგე-ბლობისა, ბედნიერებისა და განათლებისათჳს, მაგრამ სულ სიცრუვეა! იმათ ენაზედ ჩუენი სარგებლობაა და გონებაში კი აკლება და მტაცებლობა! იმათ თითქმის კიდეც დაიჭირეს სხვევარი ჩუენი მშუენიერი და ოდე-სმე ბედნიერი ქუეყანა, თუ რომ ჩუენი შემძლებელი ზრახვა არ გვიფარავს კიდევ ჩუენ, მაშინ ეს წყეული მოდგმა დაანთქავდა აქამდინ ჩუენს მშუენიერს ზღვის ყვავილს, ჩუენს ბაღსა, ასე რომ აღარ დარჩებოდა კაცი, რომელსაც შესძლებოდა ეგალობნა უკანასკნელის ბალიე-ღის დამარხვაზედ! იმათ მოგვიტანეს კიდეც რაღაც გა-ნუკურნებელი სენი; ჩუენი ვაკენი სავსე არიან ლეშებითა, რომლის სუნი სწამლავს წმინდას კეთილ სუნნელოვანსა ჩუენის მხარის ჰაერსა! ეტყობა უნდა აღსრულდეს წინა-სწარ მეტყველობა; «თეთრმა მაკალმა აჯობოს შავს და გამოაგდოს ის თავისის სოროდგან!» მოვა თეთრი გვე-ხვი და შეჭამს ჩუენ ყველას. ღმერთებმა გეჯი აიღეს

ჩუენზედ; ამიტომ, რომ ღირსნი აღარა ვართ იმათის მოწყალებისა, თუ რომ ჩუენ მუხლებსა და გულებს ყველა ერთათ ვიწროთ და მმურათ შევჯგუფდეთ, მაშინ ვნახამდი თუ როგორ დაგვეცემოდა ჩუენ მტერი ჩუენ იმათისავე ლეშებით მოვფენდით სისხლიანს გვალებსა და იმათის სისხლით გავრეცხდით. შებილწულს იმათგან ჩუენს მშუენიერს ქუეყანას, მაგრამ ეხლა რასა ვხედავთ ჩუენსა? მამაცნი ჩუენნი მხედარნი სდგანან მარტო ხელათ, როგორც აქა იქ ბზის ხე. და შორიდამ უქნევენ ერთმანეთს თავსა, მოვა დრო და ევროპიული ცული დასტრის იმ საცოდავს ბზებსა, ჩუენმა თავადებმა ოქროზედ გაჰყიდეს თავიანთი თავები და თან უღელში მიჰყავთ თავიანთი ხალხიც! ისინი როგორც მორჩილნი ძაღლნი, თვალებში უყურებენ ევროპიელებს, და იმათის ბრძანებით მზათ არიან დახოცონ ერთმანერთი, და ესრეთ იკარგა პატივი! დაიკარგა ერთგულება სამშობლო ქუეყნისა! ოჰ მშუენიერო ჩემო და საწყალო სამშობლოვ! ბრამა, ბრამა! სადა ხარ შენ? ანუ თუ შენც ღმერთო შეიქმენ მოღალატე ჩემის მამულისა? არა! ეს შეუძლებელია! შენი ცეცხლი დუღს ჩემს გულში, და ვინემ სცემს კიდევ ეს გული, და ცოცხალი ვარ, არც ერთი ჩემის ქუეყნის კაცი არ იქნება უცხოს ხალხის მონა; ვერც ერთის მტკაველს ჩუენის მშუენიერის მიწისას ისინი ვერ წაიღებენ!

და ამ დროს თვალები იმისი ჰყრიდნენ ნაპერწკლებსა; ტუჩები უთრთოდნენ. და წარმოსთქმიდენ წყევას, ბოლოს აღელვებული იმისი სისხლი ცოტათი დასცხრა, სული გეთილშობილის ჭაბუკის დამშვიდდა, და სახემ მიიღო და-

დონებული გამოხატულობა.

დილა ბრწყინავდა ნუგეშ მცემლათ, როგორც ცაზედ, ისე ქჳჱყანაზედ. ყმაწჳლმა კაცმა მიიხედ-მოიხედა და ამოიოხრა ღრმათ, რამდენიმე წამის შემდეგ იმას გადაეყარა სახიდამ სევდა და შექნა სახე მხიარული! მე რას დავსდევ ჩჳჱნს მოღალატეს თავადებსა, სთქჳა ბოლოს; მე წავიყვან ჩემს დანიშნულს გასიარსა, წავალ მთაში, შევირთავ იმას ცოლათ, გავიკეთებ იქ ბუდეს, როგორც არწივი მიუდგომელს სიმაღლეზედ; და ვინ იცის იქნება მოვიდეს დრო, რომ მე იქიდამ როგორც მხედარმა სარდალმა, გადმოვსძახო მამათ ბალიელთ ვაჟკაცებს და იმათ შეისმინონ ჩემი ხმა! . . . მაშინ თითო მარცვალზედ ამოვა ორი ხე და ერთს კოკორზედ ორი ყვავილი, და ჩჳჱნი ბალი შეიქმნება უმშჳჱნიერესი! გასიარი არ მოინდომებს, რომ მე თავი დამანებოს; არ ისურვებს დარჩეს იმ ვაკეებზედ და გულ გრილათ უყუროს იმ საზარელს თეთრ პირიანს ევროპიელებს, რომელნიც ჰგვანან სავსე კასრებსა, და არიან გაბერილნი, მსხვილნი, უშნონი! მაგრამ ვინიცის იქნება სხჳა და სხჳა ჭრელი ნაჭრებით მიიტყუონ ის ხომალდზედ და წაიყვანონ მერე თავის ცივს, ნოტიოს შიშველს უნაყოფო, ბრახმისგან დაწყევლილს ქჳჱყანაში, არა! ის ისე ჭკვიანი, ისე ამპარტავანია, რომ ამას არა იქს, იმის მშჳჱნიერს თვალებში ელავს კურთხევა ბალიელისა და მომსჳრელი საწამლავი შორით მოსულთ ვაჭარ-მედუქნეთა იმას ვერ შეეხება.

გახარებული და გამხნევებული ამ ჰაზრით, ამპარტავნულათ სტაცა შუბს ჴელი, და სისწრაფით გასწია ზღვის

კედლისაკენ; საჩქაროთ გაირბინა დიდი მინდორი, დათესილი მაქრის ლერწამით, შევიდა ბზის ეწერში, და მარჯჳეთ გავიდა ხეზედ, რომელიც ხიდის მაგიერათ იყო გადებული იქ პატარა მდინარეზედ; შევიდა ბზის ეწერში და იქიდამ გავიდა გზაზედ. იმას ხშირად შემოეყრებოდნენ ხოლმე ნაცნობნი, რომელთაც ეკიდათ მხარზედ ზოგს ბრინჯი, ზოგს ხილი და ზოგს მშჳენიერათ დაწნული ჭილოფები და მიეშურებოდნენ ქალაქში სავაჭროთ. ის იმათ ალერსით უკრავდა თავსა, და იმათი თავის დაკჳრაც მიაჩნდა ამას ალერსიანათ და სასიამოვნოთ. ალერსიანათ უყურებდენ ბზები და სასიამოვნოთ ირხეოდნენ იმათნი ფოთოლნი იმისის სასმენლისათჳს; ის იყო ძლიერ ბედნიერი, და ყოველივე ეჩჳენებოდა იმას მაშინ ბედნიერათ და მშჳენიერათ.

ბოლოს მიაწია ქალაქის ბაღებთან, რომელთაც ღობის მაგიერ ერტყათ გარეშე ვარდი და სხჳა ბუჩქნარი. იმან გაუარა გვერდით, და თვალით შორიდამ ეძებს ნაცნობს ბზის ხეს, რომელთ ჩრდილს ქვეშ სდგა სუფთა ქოხი, სადაც სცხოვრებს თავის დედმამასთან იმისი სასურველი დანიშნული კასიარი, ის წარმოიდგენს წინდა წინ თუ რა რიგათ გაახარებს იმას თავისის მისვლით, თუ რა რიგათ შემოჰკრავს ტაშს და დაიყჳრებს სიხარულით! კასიარი! როდესაც დაინახავს. აი, იმას დარჩა გასავალი მხოლოდ ერთი კუთხე ბაღისა; ისიც გაიარა; გულმა დაუწყო ძგერა ძლიერათ და ტკბილათ, ბოლოს უცებ შესდგება, და დაინახამს, რომ გზის მახლობლათ ბუჩქებში, ჩრდილში სდგას იმისი კასიარი და რაღასაც სინჯავს გულ-

მოდგინებით. ოჰ, ეს უთუოთ კრეფს ყვავილებსა, სწნავს გვირგვინსა თავისთვის და ჩემთვის, ფიქრობს უმაწვილი კაცი; მივეპარები ჩუმათ და დაუყვირებ უცხო ხმით! როგორ შეეშინდება, როგორ გაწყრება, და როდესაც მიცნობს, როგორ გაეხარდება კასიარს; მართლად ინდოელი ჭაბუკი მიეპარა ჩუმათ, უყურებს და ცხადად ხედავს, რომ კასიარი არა ჰკრეფს ყვავილებს, არც სწნავს გვირგვინსა; ის ზომავს ძვირფასს თათრულს მალსა, ხან დაჰკეცს და ისე დაიდებს მხრებზედ, ხან ერთ ტოტს ჩამოუშვებს მირს. ინდოელი გაჰკვინსა, გაქვავდა შიშისა და ჯავრისაგან. იმას უნდოდა რაღაც ეთქვა იმისთვის, უნდოდა დაეძახნა იმისთვის, მაგრამ იმის შეწუხებულის გვამიდამ ამოდიოდა იმ დროს რაღაც ნაირი კვნესის ხმა, თითქო სისხლი ახრჩობდა ყელში. იმ ხმაზედ კასიარ შეკრთა, ათრთოლდა და გაიქცა, მაშინ უმაწვილი ინდოელიც მისძახის უკან! გაიქეც, გაიქეც, ჩემო კასიარო; მე ველარ გიცნობ შენა! ჰოი ბრამა, ბრამა, ბრამა! სთქვა იმან ბოლოს, ნუთუ შენის თავისაგან არის შობილი პირველი დედაკაცი?

ბოლოს კასიარ სცნობს უმაწვილს ინდოელს, შესდგება და თვალ დახრილი კრთომით მიახლოვდება.

—გამარჯობა კასიარ! უთხრა იმან სამწუხაროს ყვედრების ხმით

—გაგიმარჯოს, გლენტეკ! უთხრა კასიარმა

—მითხარ რათ შეგეშინდა ისე ჩემი და ან რათ გაიქეცი?

—შენ მე უცეფ მოეპარე; მე არ გელოდი; ძრიელ

შემაშინე; რაღაც ნაირათ დაიღრიალე.

— მართალია კასიარ, მე თითონ შემეშინდა ჩემის ხმისა; შემეშინდა იმისაც, რომ მე შენ მოულოდნელათ გნახე ამ ბუჩქებში,

—რათ შეგეშინდა გლენტეკ?

—აბა მითხარი ვინ მოგცა შენ ეგ შალი?

კასიარს მცირედ გაეცინა.

—ეს შალი მე მომცეს აი იქა, შორს გაუშვირა ხელი; ჩვენ ბევრი ქალები წავედით აი იმ ხომალდზედ.

გლენტეკმა შეიკრა წარბები და დაუწყო ყურება.

—ვინ მოგცა შენ ეგ იქა?

— ეს შალიი?

—ჰოო,ეგ მგიროვასი შალი.

—იქ ჩვენ ყველას დაგვირიგეს საჩუქრები, ვის საყუ-რეები, ვის ბეჭედი და მე მომცეს ეს შალი.

გლენტეკმა მაშინ სტაცა შალს ჴელი და უნდოდა და-ხევა. მაგრამ იმ დროს უეცრივ მოაჭენებდნენ ცხენებს რამ-დენიმე ქალი და კაცი, ერთმა იმ ქალებში, ესე იგი ხო-მალდის კაპიტანის ცოლმა, დაინახა ის შალი გლენტეკის ჴელში და დაიყვირა: ღმერთო! აი ჩემი შალი, ის, რო-მელიც ამ სამის დღის წინეთ მომპარეს.

—ვინ იცის. შენია თუ სხვისი, შესძახა, რომელისამე მღელვარებით ქმარმა? რამდენია ქვეყანაზედ ერთ ნაირი შალი

—სწორეთ ჩემია, დაუყვირა ცოლმა; მე მაგას ძილში ვიცნობ; ვის უნდა ჰქონდეს სხვას მაგისთანა შალი აქ ამ მხარეში.

—ვსთქჳათ სწორეთ შენია, უთხრა კიდევ ქმარმა, მა-გრამ ეგ საქმე უნდა კარგათ შევატყოთ გამოვიძიოთ, მერე რომ სხვებ გამოჩნდეს, ხომ სირცხვილი იქნება ჩუჱნთჳს.

—როგორათუ სხვებ, ჰკრის გოლიანდგა; ეგ ჩემის მეთქი გეუბნები. სწორეთ ჩემი შალია. რომელიც დავკარგე სამის დღის წინეთ; ეს უთუოთ ამ გოგოს მოპარულია; ახა ეხლავ უნდა დავაჭერინო ეგა, ჩა-ავგდებინო საპყრობილეში, დავატანჯვინო და დავახრჩობინო!

—გამიგონე, საყუარელო მეუღლავ, უთხრა ქმარმა, ღუთის გულისათჳს ნუ ჭყვირი აგრე, ხომ ხედავ ხალხი გროვდება; მართალია ესენი გაუნათლებელნი არიან, მა-გრამ მაინც სირცხვილია ამათთანაც აგრე შენი ჯავრობა, სიცილს დაგიწყებენ

—შენ, მგონია. მაგ ქურდს უდგიხარ. შესძახა ცოლმა გეუბნები ეხლავ წაართვი ეგ შალი და უბძანე მაგათ მეუფროსეს, რომ მისცეს სამართალი ქჳტმ ეგ საძაგელი მელეური გოგო ხვალვე.

—ხუალ არ შეიძლება; ხომალდი უნდა ავავსოთ საქო-ნლითა, უთხრა ქმარმა

—კარგი, ზეგ იყოს, მიუგო ცოლმა

—ზეგ უნდა წავიდეთ ამიტომ, რომ ზურგ ქარია

—რას დავსდევ მე ზურგ ქარსა! შეგიძლიან წასვლა უმისოთაც, ეგ ქურდობა არ შეიძლება აგრე დარჩეს; უნდა მაგ შალის მომპარავი დაისაჯოს სამაგალითოთ

—აქაურს სასჯელზედ მეტს კაცი ვეღარას მოიგონე-ბს; აქ ქურდობისათჳს კაცს აკლებენ სიცოცხლეს, უთხრა

ქმარმა

—ძრიელ კარგი სჯული ჰქონიათ, მიუგო ცოლმა, რით უნდა დასჯილიყო სხვით მაგისთანა შალის მომპარავი; ერთი გასინჯე რა შალია

კაპიტანს უნდოდა ბოლოს, რომ მოწყვეტილიყო ეს უსიამოვნო ლაპარაკი და იმედოვნებდა, რომ შემდგომში დააშოშმინებდა თავის აღელვებულს ცოლსა, და ამიტომ გამოართვა შალი კასიარსა, დაჰკრა მათრახი ცხენსა. გავალაგადა დაიძრა და უცებ მიიმალა, დაიფანტა მსწრაფლად სხვა ხალხიც, რომელნიც მაშინ იქ მოგროვდა; დარჩნენ მხოლოდ კასიარ და გლენტეკ, ისინი ორნივ იდგნენ ისევ ჩუმად, თვალ დახრილნი და ვერ უბედავდნენ ერთმანეთის თვალის გამართვას. იმ რამდენსამე წვალების წამში კასიარი ისე შეიცვალა, როგორც ერთი კვირის ავათმყოფი.

სახეზე გლენტეკისა შეიქნა ისე მწუხარე თითქო თავის დღეში იმისი გულში არა ჰქონდეს ადგილი არა ვითარს კეთილსა და სასიხარულოსა გრძნობას სირცხვილში, რომელშიაც ჩავარდა იმისი დანიშნული, დანძრევა იმისი კაპიტანის ცოლისაგან, იმისათვის თავ გამოდება კაპიტანისა, ფიქრები, რომ მალე გამოიკითხვენ იმის დანიშნულს საეროთ, დანაშაულობას და მერე იქნება სიკუდილით დასაჯონ, — ესე ყოველივე სწვავდა ჯოჯოხეთებრივის მომაკუდინებელის ალით, ბოლოს ათრთოლებულმა მთელის ტანით, გამოართვა ხელი და თითქო მიწა მიყრილს საფლავზედ, გამოეთხოვა ამ სიტყვებით: მშვიდობით ჩემო გეილდო, ჩემო უბედურო! მტრებმა, რომელნიც ლუპვენ

ჩემს სამშობლო ქჳეყანას დალუპეს ჩჳენ ორთავ ბედნიერებაც, ჩჳენ ორნივ, როგორც ორნი მახლობელნი ბზის ხენი მოჭრილი ერთ გალესილის ცულით. წვერები იმ ხეების კიდეც ჩამოცვენილი არიან ძირს, ყვავილებიც გაცვენილია; ბოროტნი ავაზაკნი მალე გასრესენ ფეხით. ბალიელნი განკიცხვით მოიგონებენ ოდესმე ჩჳენს სახლეულისა; ვინ იცის სადა ვნახამთ კიდევ ჩჳენ ერთმანერთისა! მშვიდობით!

კასიარმა გოდებით და მოთქმით გაუშვრა ორივე ხელი, ისინი გაიყარნენ; კასიარი წავიდა შინა ძნელად თითქო მიწა იჭერდა, ანუ თუ უკანიდგან იჭერდა ვინმე იმას.

ბოვენტურამ დიდხანს ადევნა იმას თვალი, და როდესაც მიიმალა ის ბუჩქნარსა და ყვავილებში, დასჯდა მიწას, გასტეხა თავის შუბი, მოიხსნა შჳლდისარი, დააგდო ძირს და გასწია მთებში

ხომალდის კაპიტანს იმ დღეს ჰქონდა დიდი სადილი. იქ მიიწვიეს კოტის ქალაქის მეუფროსეც, პატივის მოყვარეს ინდოელს ჰჩვენებოდა დიდად სასიამოვნოდ ყოფნა თეთრ პირიანებთ საზოგადოებაში და ღმერთმა იცის რა საფუძველზედ, რაცხდა იმათ უფრო კეთილშობილად, ვინემ თავის თავსა და სხვებს თავის მემამულებსა. სტუმრებში იყვნენ მხიარულნი; სახლის პატრონნი უზრუნველად ხუმრობდა და შეაქცევდა სტუმრებსა, როდესაც სადილი გათავდა, მაშინ მეუფროსემ მოსთხოვა მალე რომ გამოეძიებინა საქმე და იმით პირი დაეყო დამნაშავესათჳს. როდესაც კაპიტანი გამოეთხოვა უთხრა

მუფროსეს მდაბალის ხმით: « გეთაყვანე . . . . საქმე გა-
«ათავე მალე და კარგათ . . . . . . რომ მაგ საქმეში სხჳა
«არავინ გაერიოს . . . . . ჩჳენ გოლანდელები პატრიო-
«სანნი ხალხნი ვართ, გვიჳარს ყოველივეში სისუფთა-
ვე; ამიტომაც ბევრს ფულსა ვშოულობთ ჩჳენა; მარტო-
მე შემიძლიან გავავსო ოქროთი თქჳენი ბუხტის წყლის
პირი! «მთელი ბუხტა, ოქროთი,» წაიბურტყუნა მეუფ-
როსმ; დაუკრა მძიმეთ თავი, მოჴიდა შინა, უბრძანა მო-
ყვანა კასიარისა, და თუმცა ჯერ არ იყო შეტყობილი
იმისი დანაშაულობა, მაგრამ მაინც ჩაასმევინა საპყრობი-
ლეში! აი დამტკიცება ველურის მართლ მსაჯულებისა!

მეორეს დღეს, მოდიდო ქოხში, შუა ადგილს იჯდა
ქალაქის მეუფროსე, გარშემო უსხდნენ მსაჯულნი; ცოტა
მოშორებით იდგა კასიარი, ფერ მიხდილი, დასუსტებუ-
ლი, ძლივ ცოცხალი; თვალებ და თავ დახრილი, ის ჰგა-
ვდა გაქვავებულსა ხან და ხან უწითლდებოდა იმას მშვე-
ნიერი ლოყები და თრთოდა ხოლმე როგორც ფურცელი
ხეზედ; ეგონა, რომ თითქო სიცოცხლის მომკლები რო-
კინა შეეხებოდა იმის კისერს, ქოხი იყო გაჭედილი ხა-
ლხით, ყველა სიბრალულით უყურებდა საცოდავს ქალწუ-
ლს ქალსა; ყველამ იცოდა, რომ ის იყო პატარაობიდგა-
ნვე კეთილშობილის პატიოსანის სულგრძელის და ამპა-
რტავნის ხასიათისა, არავინ არ იჭჳნეულებდა იმაზედ,
რომ ის იყო უმანკო ცილი, რომელიც იმას შესწამეს,
თეთრ პირიანებთა ევროპიელთა მიაჩნდათ შეურაცხებათ
მთელის იმათის ხალხისათჳს. თჳალები უელავდენ იმათ
მრისხანებით და უკმაყოფილებით; მაგრამ ვერავინ ბედა-

ჰლა ხმის ამოღებას, რადგან ისინი იყვნენ იმ დროს სამსჯავროში იმა კაცების წინაშე, რომელთაც ჰქონდათ მიცემული მთავრობა განსჯისა. ისინი პატივს სცემდნენ სჯულსა თავისს მხარისას და უყურებდნენ თუ როგორ წავიდოდა საქმე. ყმაწვილ ქალობა და უჩვეულო სილამაზე იმისი, ვისაც სწამდენ იმ საზარელს ცილსა, განაღვიძებდენ ყველაში შებრალებასა, იქ ხალხში კარებთან იდგა გლერტეკიც გამოუთქმელის მწუხარებით; როდესაც ის შევიდა ქოხში არავისთვის თავი არ დაუკრავს, არავისთვის არცკი შეუხედნია; ისე როგორც მკვდარი, უცხოდ ჰპოებდა თავის თავს ცოცხალებში. თვისს ბედნიერებას, თვისს სიცოცხლეს, ის სთვლიდა მოსპობილათ, გათავებულათ სრული რკინის ძალა იმისის სხეულისა და ხასიათისა გარდავიდა ყრუს საშინელს სულისკვნესაში, ის უძრავათ შესცქეროდა თავის კასიარს და ეჭირა ტარი თავისი ხანჯლისა. მსაჯულის წინ ჯოხზედ ეკიდა შალი.

იყო დიდი მდუმარება; ელოდენ თეთრ ქალსა; ფიქრობენ, აქ მოვა და გაამტყუვნებს ქურდსა და შეარცხვენს იმ ქალწულსა, რომელიც იყო სიხარული და სამკაული მთელის ბალისა, მაგრამ თეთრი ქალი არ მოდის, უყურებენ კიდევ და არსად სჩანს, მოლოდება ღალავს მსაჯულებსა და მოწმეებსა. ხალხში ისმის მოუთმენლობის ხმა და დრტვინვა ცოტა დავიცადოთ კიდევ, სთქვა ბოლოს მსაჯულმა და თუ არ მოვა თეთრი ქალი, მაშინ კასიარ იქნება თავისუფალი

ამ სიტყვაზედ ყველას სახეზედ გამოეხატა კმაყოფილება; ხუთი ყმაწვილი კაცი გავარდა კარზედ და დაუწყო

ყურება ზღვასა; ხომალდი სჩანს შორს წყლის პირიდგან, სთქჳა ერთმა; როდესაც შევიდა ქოხში. ხომალდზედ აუ-შვეს იალქნები! სთქჳა მეორემ, ხომალდი ეხლავ დაიძვრის! სთქჳა მესამემ. ხალხში იწყეს სიხარულის ლაპარაკი, მხო-ლოდ კასიარ და გლენტეკი იდგნენ როგორც დახოცი-ლნი, და არ გამოუცვლიათ იმათ თჳსი მოძრაობა, ისივე გაქვავება, ისივე საფლავებრივი სასო მიხდილება სჩანდა იმათში, შემოვიდა მეოთხე ყმაწჳლი კაცი, რომელიც უყუ-რებდა ზღვასა, რა ამბავია? რას იტყვი? დაიძრა ხომა-ლდი? მოდიან თეთრები თუ არა? შესძახეს ერთ ხმად ყველამ, იმან თითი მიუშვირა ფანჯრისკენ; იქ გაიხედეს ყველამ და შენიშნეს, რომ ხომალდიდამ ჩამოუშვეს ნავი, რომელიც წამოვიდა წყლის პირისკენ.

დაიწყო ისევ მდუმარებამ, უწინდელზედ უფრო შესა-წუხებელმა.

ბოლოს თეთრი კაცები მოადგნენ წყლის პირსა. აი თეთრი, მსუქანი, მორთული ქალი, ჩაცმული ხავერდით, შემკული ოქროთი და მარგალიტით ამოიყვანეს წყლიდამ და მოჰყავთ ხელ გაყრილი. და იმის ცოლს მოზდევდა ევროპიელი, დასახლებული ბალში, ეტყობოდათ, რომ იმათ მიერთმიათ კარგი საუზმე კაპიტანის მეგობარი შექცევდა იმის ცოლსა ლაპარაკით; ის იცინოდა ხშირათ და იფარებდა პირზედ ძვირფასს ვეერსა. იმის მდიდრუ-ლს კაბას ბალახში გაუდიოდა შრიალი, როგორც გველის კუდსა; ბოლოს ისინი მიუახლოვდნენ სამსჯავროს; ბალი-ელებს ესმოდათ იმათი ფეხის ხმა და ლაპარაკი. გული იმათ უმგერისთ მაგრათ. ბოლოს შევლენ სამსჯავროში.

ღრმა მწუხარება ურიცხვის ხალხისა მოსწყლავს იმათ, იმათმა მხიარულების სახემ მიიღო გამოხატულება ცივის სისასტიკისა. მთელი ხალხი შეირხა და ყრუთ დრტვინავდა, როგორც მაგარი სქელი ტყე ხმიანობს უცებ ამოვარდნილის ქარის დროს. ისინი მოუსხდნენ გვერდით მსაჯულს, შალი როგორც ნიშანი და საბუთი დანაშაულობისა ეგდა იმათ თვალწინ; იმის პირდაპირ იდგა ქასიარი, მსაჯული ფეხზედ წარმოდგა და სთქვა: ბალის მცხოვრებნო? ჩვენ ვართ თავს მოყრილნი, მოვისმინოთ თეთრის ქალისაგან გამტყუვნება ჩვენის მოდგმის ქალწულისა; თქვენ ხომ იცით როგორნი მტკიცენი არიან ჩვენნი სჯულნი; თუ კაცმა ჰქნა ქურდობა დაწესებულია იმისი სიკჳდილი; თუ ქალმა საპყრობილე. ეხლა დაუმტკიცეთ, ბალის მცხოვრებნო, უცხო კაცთა, რომ ჩვენნი სჯული ერთ რიგათ მტკიცეა ყველასათჳს და განჩინებაც ჩვენნი სამართლიანნია!

მერე მიუბრუნდა ევროპიელს, რომელმაც კარგათ იცოდა ბალიელი ენა და უთხრა: ჰკითხე შენ თეთრო კაცო, თეთრ ქალსა, მართლად მოჰპარეს ეს შალი იმასა; მოჰპარეს ხომალდზედ თუ წყლის პირზედ: ეს შალი იყო დაკეთილში თუ დაუკეტავში, მაშინ სასჯელი უფრო მცირეა დადებული, თუ დაკეთილში,—სასჯელი მეტია.

ევროპიელმა გადუთარგმნა ეს ყველა თეთრ ქალსა, და იმან უპასუხა: ეგ შალი მომპარეს მე ხომალდზედ დაკეტილის კომოდიდამ.

არა, უთხრა იმას ქმარმა; ეგ ტყუილია; მე ხშირად ამომიღია ხოლმე შენის კომოდიდამ ნივთები და გამო-

შჳა ისევ ღია; უეჭუელია, რომ ეგ არ არის მოპარული დაკეტილიდამ.

გოლლანდკა ათრთოლდა მრისხანებით, შეხედა ქმარს გველის თუალებით, რომლიდგანაც სცვიოდა წინწკალი საწამლავისა.

მაშინ მსაჯული მიუბრუნდა კასიარს და უთხრა; ქალწულო ჩუენის ბალისავ, ჩვიდმეტის წლის კასიარო! აღიარე თუ როგორ იშოვნე შენ ეგ შალი? არა გაქუს რა საფუძველი სრულის შენის განმართლებისა, ანუ შემსუბუქებისათჳს შენის დანაშაულობისა? გახსოვდეს, რომ სჯული ჩუენი მტკიცეა. კასიარი წარმოსდგა ზეზე, დადაწყო ყურება ჯერ კაპიტანის ცოლსა, მერე კაპიტანსა, და აკვირდებოდა რა უკანასკნელს თვალებში, იდგა რამდენსამე წუთს ჩუმათ; ეტყობოდა, რომ ის აგროვებდა სრულს თავის ძალას და მხნეობას. ბოლოს აიღო ხელი და მიუშვირა მანიშნებელი თითი კაპიტანს თვალებში. კაპიტანი ვერ უმართავდა თვალსა, აცანცალებდა თავსა თითქო მოჭრილი ჰქონდაო; ცოლი იმისი აენთო, ადუღდა მრისხანებით, წამოიწია ფეხზედ და დაეცა ქმრის კალთაზედ; თვალნი ყველა იქ მყოფთა ხვრეტდენ ცეცხლებრივის ისრით ცოლსა და ქმარსა. ბოლოს კასიარმა იწყო დაწყნარებით ნელის ხმით: თქუენ მკითხავთ, თუ როგორ ვიშოვნე მე ეგ შალი განა? ეგ .. შალი. .. მე (აქ ცოტა შედგა) მე... მოვიპარე!.. სთქუა ეს მოთქმით, მიიფარა ხელი პირზედ და დაეცა გულ შემოყრილი ძირსა

კაცებმაც შეჰკვრეს ერთბაშათ. ქალები სტიროდენ და

შეელოდენ იმის აყენებას, არავის არა სჯეროდა იმისი სიტყუჱბი, შეიქნა დიდი ხმიანობა.

ჩუმათ! შესძახა მსაჯულმა: ჩემი ქოხი ესლა ის ქოხი აღარ არის, სადაც შეიძლება, სმა, ჭამა, ძილი და ყვი-რილი; ეს არის ეხლა სამსჯავრო, წმიდა ად-გილი.

მაშინ ყველანი ისევ დასცხრნენ, დაჩუმდნენ. კაცი ჩუჱ-ნის მთამოებისა ტყუილს არ იტყვის. რომელსაც ამტყუ-ვნებს თავის თავსა ანუ სხჳსა, განაგრძო მსაჯულმა, გამოტყეხა გასიარის საკმაოა. მაგისი სიტყვები ყოველ-თჳს ყოფილან ნათელ სიმართლედ, რომელსაც ეგ მოეგება გონებას უნდა წაიყვანოთ საპყრობილეში, სჯულისაებრ ეგ უნდა იჯდეს იქ ხუთს წელიწადს; მანამ ეგ იქ იჯდება, მაგის სახელი არის: «ქურდი».

ამის შემდგომ მიუბრუნდა მოსამსახურეს და უთხრა: აიღე ეგ შალი, მიეც თეთრს ქალსა, როგორც მაგისი საკუთრება. დატკბეს ეს ქალი სამართლითა ჩუჱნის სა-მსჯავროჲსა, და აკურთხოს ბრახმამ გზა მაგისი თავი-სის სამშობლოს მხრისაკენ!

უცებ ხალხიდამ გამოხტა, როგორც დაჭრილი ვეფხვი მაღალი, მოყვანილი, მშუჱნიერი ყმაწვილი კაცი, ის იყო გლენტეკი.

მოითმინეთ, ბალის მცხოვრებნო, დაიყვირა იმან ძლიე-რის ზარიანის ხმით, ეგ ქალწული უმანკოა; ელვარე ვარსკვლავს ვით შეუძლიან თავის გასვრა ტალახით, გა-მიგონეთ ეხლა მე!

ყველა განცვიფრდა; ხმიანობა დასცხრა. მაშინ გლენ-

ტეკი მოვიდა მსაჯულთან ახლო, დაუკრა თავი და გაჩერდა იმის წინ.

ვინა ხარ შენა? ჰკითხა იმას თავაზიანათ მსაჯულმა, რომლისაც მოსწონდა იმისი ვაჟკაცობა და მშჳენიერი ტანადობა, რა შეგიძლიან სთქვა დასაცველად ქალწულისა, რომელიც თითონ გამოტყდა თავის დანაშაულობაში?

მე ვიტყჳ იმას, რაც უწინ გსთქჳ: რომ ეგ ქალწული არის უმანკო; შალი მოპარულია ჩემგან!

თუმცა იმ სიტყჳაზედ იმას ტუჩები აუთრთოლდა და ლოყებიც გაუწითლდა, მაგრამ მაინც გაბედულათ უყურებდა თვალებში მსაჯულსა. შალი შენი მოპარულია? განამეორა მოხუცმა სევდიანის ხმით და მძიმის შებრალებით, ნუ თუ ჩჳენ მივაწიეთ იქამდინ, რომ ჩჳენნი ყმაწვილნი კაცნი, რომელნიც ბზასავით უნდა იდგნენ გარემემო ჩჳენის საფლავებისა, შედიან ქურდობაში? ოჰ ზღვაო, ზღვაო! დანსთქე სასწრაფოთ ჩჳენი კუნძული, რომ ჩჳენ არ შეგხვდეს ნაცვლათ ხეებისა ჩჳენის შჳლების თავების ჭრა!

სთქჳა ესე და ცოტახანს გაჩუმდა; შემდგომ მწარის საგრძნობლით შეხედა კიდევ გლენტეკსა; მაგრამ რამდენისამე წუთის შემდეგ გამაგრდა; სახემ მისმა მიიღო მოსვენებული გამოხატულება და ჰკითხა კიდევ: ვინა ხარ შენა? ვისის ნათესავისაგანი ხარ?

მე ვარ გლენტეკი, გაზდილი მთებში; იქ არის მამის ჩემის სახლიც.

ნათესავი ხომ არა ხარ იმ ჩჳენის კეთილშობილის თავადის გლენტეკისა, რომლისაც სახელი უბიწო და წმი-

ჲდაა, როგორც სპეტაკი მთის თოვლი?

ის მამაა ჩემი! უთხრა იმას ყმაწვილმა ბალიელმა.

ოჴ უბედურო! რას სწამებ შენს თავსა? იცი რა სასჯელი მიგელის შენ მაგ დანაშაულობისათჳს?

ვიცი რომ მიმელის სიკუდილი, უთხრა კადნიერათ გლენტეკმა; მაგრამ მე ვერ ავიტან იმ მწუხარებას, რომ ქალწული დაილუპოს ჩემის გულისათჳს

კეთილშობილი გლენტეკი! მამაცი გლენტეკი! შეხედეთ ერთი ეს რა მშვენიერია ამ წამში! თუ როგორ ამპარტავანათ და გაბედვით იყურება აქეთ იქით. მაშინ, როდესაც თეთრები ეხლა განკალდებიან, როგორც ციებისაგან, უყურებენ შიშით ერთმანერთს. ისინი არიან ქურდნი და ავაზაკნი, და არა ეს მამაცი ყმაწვილი კაცი! აი ასე ამ ხმით და ლექსებით სჯიდა და მღელვარებდა გროვა ხალხისა. სიძულილი იმათი ყოველს წუთს იზრდებოდა წინააღმდეგ გოლანდიელებისა, მაგრამ მსაჯულმა ანიშნა, რომ სურს იმას კიდევ განაგრძოს გამოძიება, კითხჳა, და სუყველა ისევ დაჩუმდა და დაუგდო ყური.

ყოფილხარ შენ ხომალდზედ გლენტეკ?

ვიყავი.

იქ მოიპარე შალი?

იქ მოვიპარე

როდის იყავ შენ იქა?

ღამით.

მერე როგორ მიხვედი იქ ღამით; როგორ ვერ შეგნიშნეს ღამის მცველებმა?

როგორ შემნიშნავდნენ მე ის გაბერილნი ევროპიე-

ლნი? განა არ იცით რომ ფეხი ბალიელისა მფრინველის ფრთაზე მსუბუქია; რომ ბალიელის ფეხის ხმას ვერ გაიგებს ვეფხვიც.

რათ მოიპარე შენ შალი?

რომ მეჩუქებინა ის ჩემის დანიშნულის კასიარისათვს.

იცოდა იმან რომ ის შალი მოპარულია?

არა.

იმან გთხოვა როდესმე, რო შენ გეჩუქებინა იმისთვს მძვრფასხი ევროპიული ნივთი?

არა.

აი, ხედამთ როგორ ყოფილა საქმე! დაიძახა კაპიტანის ცოლმა; ეხლა აიხსნა საქმე; საჭირო იყო ეჩუქებინა რამე მას ველურს თავის დანიშნულისათვს და ამიტომ მოუპარავს ჩემი შალი; ან რა გასაკვირველია ეს ველურის კაცისათვს! შეხედეთ როგორ მხეცურათ იყურება; თითქმის წამწამსაც არ ახამხამებს, მაგრამ უნდა კი სთქვას კაცმა, რომ შესაბრალისია ეს უმაწვლი კაცი. მართლაც ვაჟკაცსა ჰგავს! დაუმატა კაპიტანის ცოლმა.

გლენტეკ, მთის თავადიშვილო! მოემზადე სასიკვდილოთ, უთხრა მსაჯულმა.

რა მოვემზადო? მე მზათა ვარ დიდი ხანია; მე თავი მაბია მხრებზედ, სხვა რა მომზადება მინდა?

მსაჯულმა მიიხედა ვერდზედ, ანიშნა რაღაც ხელით; ხალხიდამ გამოვიდა ერთი კაცი, წამოდგა წინ და ამოიღო ქარქაშიდამ ხანჯალი, ეს იყო პალაჩი (მტარვალი.)

როდესაც გლენტეკს აძლევდა მსაჯული სხვა და სხვა კითხვას, კასიარს ესმოდა ეს ყოველივე, მაგრამ რადგან

გულშემოყრილ ეგდო მიწაზედ ვერ გამოერკვია; ის ხე-დავდა, გარდა ამისა, იმ წამში სიზმარს, ვითომც ის იყო საპყრობილეში და გლენტეკი იდგა კარებში და ევე-დრებოდა მსაჯულს, რომ გამოეშვა ის იქიდამ. მაგრამ როდესაც მსაჯულმა ახსენა სიკვდილი, მაშინ უეჭ მოე-ეგო გონებას კასიარი, წამოხტა ზეზედ, მოიწმინდა თვა-ლები, გადახედა ხალხსა, დაინახა გლენტეკი და იმის წინ ხანჯალ ამოღებული კაცი; მაშინ შეჰყვირა დიდის ხმით: სიკჳდილი! ვისთჳს სიკჳდილი?

გლენტეკისათჳს, მიუგო მსაჯულმა.

დიდი ხანია, რაც ბალიელი სჯული სჯის მართალსა, ნაცვლად დამნაშავის? მე აკი ვსთქჳ წეღან, რომ მე ვარ მეთქი ქურდი და არა ეგა. მაშასადამე მე ვარ ღირსი სიკჳდილისა და არა უბრალო გლენტეკი გესმის თუ არა?

ქალმა თითონ არ იცის ხშირათ რას ამბობს, სთქჳა გლენტეკმა ამპარტავნებითის განსვენებით და რკინიანის უძრაობით სახეში, მე ხმამაღლა, განმეორებით ვაცხადებ მსაჯულნო და მცხოვრებნო ბალისანო, რომ მე მოვიპა-რე ეგ შალი და ვაჩუქე კასიარსა; მე მამაკაცმა, თავადმა?

სიმართლისა, სიცოცხლისა ანუ სიკჳდილისათჳს არ არსებობს არც მამა კაცი, არც დედაკაცი და არც კნიაზი, სთქჳა კასიარმა. არავისგან, და არც შენგან ჩემო საყუ-ჳარელო მშჳენიერო, და კეთილშობილო გლენტეკ, მე არ მივიღებ სიკჳდილსა, როგორც მოწყალებასა

მაშინ მსაჯულმა ანიშნა კიდევ კაცსა, რომელსაც ეჭი-რა ხანჯალი. გლენტეკმა დაიღუნა თავი. პალაჩმა აიღო მაღლა ხანჯალი, რომ ერთის დაკვრით გაეგდებინებინა

თავი. მაგრამ უცეფ ხელი ჩამოუვარდა, თითქო დამლა დაცემულსა, და მოჰყვა ტირილსა; არ შემიძლიან დავკრა წარმოსთქჳა იმან ბოლოს გვნესით. უმჯობესია მე მიმცეთ სიკჳდილსა; ხელი გრძნობს, რომ ეს ყმაწჳლი კაცი უბრალოა ამ საქმეში. კასიარ დაეცა ხელ მეორეთ გულშემოყრილი.

დაიცადეთ, დაიცადეთ, დაიძახეს ყველა ევროპიელებმა და წამოხტნენ სკამებიდამ.

ეს ერთობ სასტიკი სასჯელი გქონიათ, სთქჳეს იმათ; არ შეიძლება სხვით რითიმე დასჯა, უთხრა კაპიტანმა მთრთოლვარის ხმით. მე აქ მიმიღებდნენ ხოლმე როგორც მეგობარსა; ამ ადგილს მე გამიტარებია ბევრი ბედნიერი დღე; აქ მეგობარი ჩემის სიმდიდრისა, ჩემი ხომალდი იყო ხოლმე სტუმრათ, როგორც სამშობლო ბუხტაში, და ამისთვის ძნელია ჩემთვის წავიღო აქედამ ჩირქი სისხლისა, და მერე ვინ იცის, იქნება უბრალო კაცისა, (ეს უკანასკნელი სიტყჳები სთქვა თვალ დახრით.) მე მზა ვარ გავმართო ეს საქმე დიდის ფულით. . .

თუ რომ თანახმა ხარ თეთრო კაცო, უთხრა იმას მსაჯულმა, შეგიძლიან წაიყვანო თან შენი მსხჳერპლი; ეგ მაინც მკჳდარია ამიერითგან ბალიელისთჳს; მაგისთჳს აღარ არის ამიერიდგან არც წვეთი ნამისა, არც მუქი სამშობლოს მზისა, არც ჩრდილი ბზის ხისა, არც ბილიკა მთებში, აღარც სიმღერა მაგის სახლისათჳს და აღარც სახსოვარი . . არა! სახსოვრათ დარჩება ჩჳენში მშჳენიერი საწყალი ჭაბუკი. მაგრამ ჩჳენ გაძლევთ თქჳენ იმის სხეულს, თეთრო კაცნო, წაიღეთ ეგ ჩჳენგან,

ჩუენნი მკუდარი შჳლი, სხუა მხარეს, შორს, საფლავში!

აქ მოხუცმა დაიწყო ტირილი სხვები მოსთქმიდენ სიმტკიცე გლენტვეგისაც შეირყა; გული უცემდა მძლიერათ და იმის მშვენიერს სახეზედ გამოჩნდა დიდი ფერმკრთალობა.

აქ მოხუცმა დაიწყო ტირილი. სხვები მოსთქმიდენ. სიმტკიცე გლენტვეგისაც შეირყა; გული უცემდა მძლიერათ და იმის მშვენიერს სახეზედ გამოჩნდა დიდი ფერმკრთალობა.

როგორც იგი წამიყვანოს! დაიძახა გლენტვეგმა, სადა მგზავნით? განდევნილებაში? საძაგელს მხარეს? მე როგორ უნდა მოვშორდე ჩემს საყვარელს სამშობლოს ბაღის, ჩემს მეზობლებს? მე აღარ უნდა მესმოდეს მშვენიერის ჩუენის მგრინველების ჭიკჭიკი; ველარ უნდა ვხედავდე მკრფვას ადგილებს! არა, მე თანახმა ვარ ათასჯერ მოვკვდე, ვინემ წავიდე მაგ ნაირ განდევნილებაში!

გლენტვეგ! უთხრა იმას მსაჯულმა მე გიბრძანებ სჯულის სახელით უნდა დაემორჩილო იმის განჩინებას მაშინ სახემ გლენტვეგისამ მიიღო განსვენებული, გარნა სასოწარკვეთილებითი გამოხატულება

ეს მართალია, უთხრა გლენტვეგმა, სჯული უმაღლესია კაცის სურვილზედ; ასე მეუბნებოდა; ხოლმე მამა ჩემიც საყრმიდგან; მე ვემორჩილები სჯულსა; ეხლა მე ბედნიერი აღარა ვარ, მე ვარ მონა იმერის კაცისა; კარგი, წამიყვანონ სადაც უნდათ, და რაც უნდა ის მიყონ.

კეთილშობილნი ადგნენ და წავიდნენ. იმათ მიზდევდა გლენტვეგი: ხროვა ხალხისა, რომელიც იყო შეკრებილი მსა-

ჯულების ქოხის მახლობლად მიზდევდა ეგრეთვე იმათ წყლის პირამდინ გოლლანდიელები მიუშურებოდნენ, თითქო იმ კუნძულის მიწა სწვავდა იმათ ფეხებსა, ეს იყო საშინელი გაცილება, მსგავსი მიცვალებულის გაცილებისა, ყველანი იყვნენ ჩუმათ, მხოლოდ ისმოდა მძიმე ფეხის ხმა; კასიარ, რომელიც იმ დროს მოეგო გონებას, გარეტიანებული შესცქეროდა ყოველსავე ამას, და თითქო სიზმარში წარმოუდგებოდა რაღაც ზოგი უწინდელი და ზოგი იმ წამის შემთხვევისა.

ბოლოს მივიდნენ ზღვასთან. იქ იყო დაბმული განჯო. გოლლანდიელნი მარჯვედ ჩახტნენ შიგა, გლენტეგი მცირე ხანს შესდგა; მიიხედა უკან, გაიქნია თავი, დაუკრა თავი თავის მემამულეებსა, მაშინ კასიარმა უეცრათ დაიყვირა, თითქო დაკრეს კისერზედაო, გააპო ხალხი, მივიდა და დაეცა გლენტეგის წინ. გლენტეგმა შეხედა იმას საკუთარის ლმობიერებით, მოჰხვა ხელი თავზედ და უთხრა: მშვიდობით, ჩემო უბედურო კასიარ! მშვიდობით უმანკო ქალობავ და ბედნიერებავ! სთქვა ესე და როგორც არწივი რომელსაც მოუშალეს ბუდე და მოსტაცეს ბარტყები, გადახტა ისიც წყლის პირიდამ განჯოში მოუსვეს ნიჩბები და მსწრაფლ მივიდნენ ხომალდთან, ერთის საათის უკან დაიძრა ხომალდიც და მიიმალა განჯოც და ხომალდიც თვალთაგან ურიცხვის ხალხისა

ხალხი დაიშალა; ბევრი ილაპარაკეს საშწუხარო შემთხვევაზედ და ბოლოს დაჩუმდნენ ყველას ჰქონდა თავის საკუთარი საქმე და ამიტომ ყველა წავიდა თავთავის ადგილებსა და ქოხებში.

გასიარმა სთხოვა, რომ დარჩენილიყო წყლის პირსა; ნება მისცეს ამისი და იმ დღითგან ის აღარავის უნახავს; რა დაემართა იმას არავინ იცოდა; დედმამა იმისიც დაიხოცნენ ჯავრით; ქოხი იმათი დალპა და იმ ადგილს ამოვიდა მაღალი ბალახი. გლენტეკის მამამ, რომელსაც შეიტყო, თუ რა რიგათ იმისმა შვილმა გასჭარა იმისი სახელი, შეკრიბა რამდენიმე ნავი, მიიღო იმათზედ პირის პირ მთავრობა და შეიქნა ზღვის აკაზაკათ. რადგან ცოტა ხელქვეშეთი ჰყავდა არ შეეძლო აშკარათ დასცემოდა ხომალდებსა, და ამიტომ ღამით ჩუმათ მიეპარებოდნენ ხომალდსა გაუხვრეტდნენ ძირსა და ანუ მოუკიდებდენ ცეცხლსა და ამ გვარათ დუპავდნენ ევროპიელებთ ხომალდებსა; მაგრამ არც კიტაიის და არც აფრიკის ხომალდს ისინი არ შეეხებოდნენ; სრული შურისძიება იმისი იყო მიქცეული ევროპიელებზედ.

ბუნება ბაღში და გარემემო იმისა უწინდებულათ იყო მშვენიერი; ზღვა და ცა უწინდებულათ ბრწყინავდნენ დაუვარდად, მაგრამ ხალხი კი ძრიელ შეიცვალა; იმათ შემოერიათ ევროპიული განცხრომა; მაღები, რესტორანტები და საყურეები ხშირად სჩანდნენ ხოლმე იქაურს ქუდებზედ; კაცებსა რცხვენოდათ ჩაცმა მველებურის თავისის დასახავსტავის ტანისამოსის, და იცვამდენ უმსგავს და უშნოს პალტოებსა და ფრაკებსა; ყაუხის მაგიერ იწყეს დახურვა შლიაპებისა, ასე რომ ისინი იმ გვარს ტანისამოსში ჰგვანდნენ რაღაც მასხარეებსა. გოლლანდიელებს უხაროდათ წარმატება განათლებისა, რომელიც შეიტანეს პატარა კუნძულში; ცდილობდნენ რომ სრულიად დაეპყ-

რათ ის კუნძული და არწმუნებდნენ მცხოვრებსა, რომ ეს საჭირო იყო კეთილდღეობისა, ბედნიერებისა, ხასიათის დამშვიდებისა და ზნეობისათჳს, მაგრამ ზოგიერთს ესმოდაკი, რომ არ იყო რიგი უბრალოს რაღაც ჭრელს ჩვრებში, რომელთაც აძლევდნენ იმათ ევროპიელნი, გაეყიდათ თავისი თავისუფლება. ერთხელ გოლლანდიელებმა დასამტკიცებლათ თჳსის მფარველობისა ბალიელებზედ, მოიხმარეს შუბები, და უნდოდათ იმ ღონისძიებით შექმნათ ისინი ბედნიერათ, მაგრამ ბალიელნი აღუდგნენ ამაზედ წინ და გაუიდნენ იმათ წინააღმდეგათ თავისის შუბებით და მოწამლულის შჳლდ ისრებით და რადგან გოლლანდიელები არიან ხალხნი ანგარიშიანნი, მოვაჭრე-იფიქრეს, რომ ამ გვარ ღონისძიება არ გამოადგებოდა აქა, და მიიღეს სხჳა ზომიერება; უვსებდნენ კუნძულის უფროსს კაცებსა უბეებსა და ჯიბეებსა ოქროთი მაშინ იმათ დაუწყეს ხალხს ტკბილათ შეგონება, რომ საჭიროა დაემორჩილონ ისინი გოლლანდიელებსა, რომ ის არის ხალხი კეთილშობილი, სტუმრის მოყვარე; უყჳართ იმათ ბალიელნი, როგორც ძმები ანუ შჳლები, და რომ ისინი იმათი სიყჳარულისათჳს მოდიან ისე შორიდამ. ზოგმა მართლა დაიჯერა, რომ მართლათ გოლლანდიელნი არიან იმათნი მამანი.

სხუებიკი განძჳნდნენ წინააღმდეგ თავადების და გოლლანდიელების, იძახდნენ რომ ისინი, ესე იგი იმათნი თავადნი, არიან მოღალატენი სამშობლოისა: მაგრამ რიცხვი ამა პატრიოტთა ანუ სამშობლოს მამულის ერთგულთა და მეგობართა ყოველ დღე მცირდებოდა და

და ამ გვარათ განვლო ხუთმა წელმა.

სად იყო, და ანუ რას შვრებოდა იმ დროს საწყალი განდევნილი გლენტკე? შევიდა რა ის გოლდსანდოის ხომალდში, ის შეიქნა მშვიდი და გამგონე, როგორც კრავი, იმისი კეთილშობილური სახე, კეთილშობილური მიხჳრა მოხჳრა, ამპარტავნული შეხედულობა იმისი დადონებულება, ის ფიქრი თუ რა რიგათ აძლევდა თავს სასი-გჳდინოთ, რომ დაეხსნა უბრალო სული თავისის სამშობლო ქვეყნის ქალწულისა, და ის ფიქრი, რომ იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც იმას მიაყენეს, იმან შური არ უძიოს, ესე ყოველივე აიძულებდა ხომალდში მყოფთა მოპყრობოდეს იმას ფრთხილათ და თავაზიანათ; ერთი რამ მიაჩნდა კაპიტანს საძნელოთ: არ იცოდა მიეწვა ხოლმე ის თავის სტოლზედ პურის საჭმელად, თუ დაესვა ხოლმე გლენტკე სხჳა მატროსებთან, პირველს შემთხვევაში ის თითქო ამდაბლებდა კაპიტანის პატივსამეორეს მხრით ეჩვენებოდა სირცხვილათ გასწორება უბრალო მატროსებთან კაცისა, რომელიც ჩაუგდო იმას ხელში უბედურმა მისმა სჳედრმა, და რომლისაც მიზეზი ის თითონ იყო ამ შემთხვევაში კაპიტანმა იხმარა შემდგომი ოსტატობა; ის უბრძანებდა ხოლმე სუფრის გაშლას გლენტკესათვის საკუთრათ, მაგრამ პირველსავე სადილზედ გლენტკემ შეურაცხებით შეხედა კაპიტანსა. რომლისაც ჭკაზრის ის გარეგათ მიიჩჳლდა; ადგა წაიღო თავისი კერძი, გაუყო მატროსებსა და თითონაც დაჯდა იმათთან. კაპიტანი ამაზედ სირცხვილით გაწითლდა როგორც კიბო; მატროსებიც უყურებდნენ ერთმანერთს და იცინოდნენ ჩუ-

მათ, მადლობდენ გლენტეკს და შეხაროდენ ვითარცა სასიამოვნო სტუმარსა. შეუყჳარდათ იმათ ის ძრიელ, ასწავლეს იმას თავის ენა. ცდილობდენ ხშირათ გაემხიარულებინათ; ისიც შველოდა მატროსებს ხომალდის დაგრებაში, პარუსის გაჭიმვაში და ასწავლიდა ოსტატურს თავის ხელოვნებას თოკის გრეხას და ნიჩბების ნავზედ მოსმას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის იყო ისე მარჯჳე და გამბედავი რომ ვერავინ ვერ შეემსგავსებოდა იმას.

აი ერთხელ რა მოხდა ხომალდზედ, რომლისათჳსაც ის მეტად შეუყვარდა ყველას; უცებ ამოვარდა ძლიერი ქარი; ხომალდმა გადიწია გვერდზედ; მაშინ ეს დაჭყვარა ძლიერმა ზვირთმა; სკამები, სტოლები, ბოჩკები და ტომრები სულ მოგლიჯა პალუბიდგან და გადაჰყარა ზღვაში კაპიტანმა მოჰკიდა მაგრათ ხელი თოკსა და იმით დაიცვა თავი, მაგრამ როდესაც მიიხედა გვერდზედ შენიშნა, რომ იმისი ცოლი აღარსად არის; მივარდა ბორტზედ და დაინახა, რომ იმისი ცოლი სცურავს ქაფიანს ზვირთებში.

ღჳთის გულისათჳს უშჳელეთ! ჰყვიროდა საზარელის ხმით მაგრამ ძნელი იყო შჳელა; დიდი ქარი ნებას არ აძლევდა, რომ მატროსებს ჩაეშჳათ ნავი და გამოეყვანათ, კაპიტანი ხედავდა ამას, იმტვრევდა ხელებსა და იძახდა: მიშჳელეთ ღჳთის გულისათჳს! ვის გიყვარს ღმერთი! მაშინ გლენტეკ მივარდება, შეჰკლამს შეურაცხებით, მოაგონდება იმ დროს იმის ცოლის ძალი. მაგრამ დაივიწყებს უცებ თავის უბედურებას, ჩავარდება აღელვებულს ზღვაში, გასცურამს, როგორც თევზი, სტაცებს ხე-

დს კაპიტანის ცოლსა და ამოიტანს ხომალდში როდესაც ის მოვიდა გრძნობას და უსნიეს, თუ რა გაჭირვებაში იყო ისიც და იმისი დამხსნელი გლენტეკიც. უნდოდა მოხვევოდა და კისერზედ დაეკოცნა მაგრამ გლენტეკმა ნება არ მისცა ამისი და უკან დააყენა ხელით

იმ დროდგან კაპიტანი მიიწვევდა ხოლმე იმას თავის სტოლზედ; მაგრამ ის უწინდელივით მიდიოდა მატროსებთან თუმცა უნდა სწორეთ ვსთქვათ, ერთობ დიდი მეგობრობა კი არც იმათთან ჰქონია გლენტეკსა; როდესაც საქმე არა ჰქონდა რა, მაშინ ის დადიოდა პალუბაზედ, მარტო, დაფიქრებული და დაღონებული ხან მთელს ღამეს იჯდა მარტო დაჰღვრიდა მწარე ცრემლსა, სამშობლოსათვის, საყვარელის დანიშნულისათვის, და დღისით კი სახე იმისი მიიღებდა ხოლმე ჩვეულებრივს ცივს გასვენებულს გამოხატულებას

ბოლოს ხომალდი მივიდა ამსტერდამში. გლენტეკი ძრიელ გააცვიფრა მრავალმა პარუსებმა, მაჩტებმა და ხალხმა, რომელიც სიჩქარით ზოგი სცლიდა და ზოგი ავსებდა ხომალდსა სხვა და სხვა სავაჭროთი, თუ სანოვაგეთი; როდესაც შეხედა დიდს სახლებსა გლენტეკმა სთქვა: «ეს ამოდენა მთები რა ხელს გაუკეთებიათ!» კაპიტანი გრძნობდა თავის დანაშაულობას იმასთან და სინიდისი საკმაოდ აწუხებდა იმას გლენტეკზედ და ამისთვის არაფერს ზოგავდა, რომ დაეჯილდოებინოს გლენტეკი. მისცა იმას თავის სახლში ბინა და სრული ხარჯი. გლენტეკმა ისწავლა წერა, კითხვა, დადიოდა სხვა და სხვა საოსტატო სახლებში, ხომალდის საშენებელ სახლშიაც,

ფაბრიკებში და ეგრეთვე თოფებისა და ზარბაზნების ქარხნებში იქიდამ დაბრუნებული იტყოდა ხოლმე დაღონებით: რამდენი ხალხი ჰყავთ ამ გოლლანდიელებს! რამდენი საჭურველი აქჳსთ, ესენი რომ ყველა დაესიონ ჩჳენ საწყალს ბალსა, მშჳდობით მაშინ ჩვეო მშჳენიერო ტკბილო ბალო! სრულიად გაანადგურებენ იმას და თითოფოთლათ დაიყოფენ ჩჳენს მშჳენიერს ტყეებსა! რკინის გზის მაშინას მოჰყავდა ის დიდ განკჳრვებაში, გლენტეკი დიდ ხანს სინჯავდა იმას და ეგონა, რომ იმაში შიგ სხედან ცხენები და ან კაცები, რომელთაც დააქჳსთ ის ისე საჩქაროთ. ყოველთჳს, როდესაც კი დაიძროდა მაშინა, უნდოდა ხოლმე გამოეცადა სისწრაფე იმისი და რაც შეეძლო გამოუდგებოდა იმას უკან. მაგრამ რომ დაჰედამდა, რამდენსამე წუთის შემდგომ, მაშინა გაასწრებდა ხოლმე იმას, მოჰყვებოდა ბავშურს ხარხარს და დასცინოდა თავის თავსა; ტელეგრაფთან ახლო მისვლაც ეშინოდა; იმას ეძახდა ეშმაკის მოგონებულს, და ზედა მხედველს იმისსა ეშმაკის მსახურს «ეს თეთრი კაცები, ფი-
«ქრით ლა'არაკობენ, იტყოდა ხოლმე გლენტეკი, და რა-
«დაც ნიშნები პასუხს აძლევენ იმათ მაგრამ კაი ჩჳენ
«საწყალ ბალსა; სულ იმაზედ აქჳსთ იმათ ლაპარაკი!
«ეტყობა ამათ იმის დაპყრობა გულიდამ არ ამოსდით»

დღისით იყო ხოლმე ის გართული სხჳა და სხჳა ახალს საგნებში, და როდესაც დაღამდებოდა, მაშინ ის შევიდოდა თავის ოთახში და და იყო მარტო დაღონებული, მაშინ წარმოუდგებოდა ხოლმე იმას ფიქრში ხან სამშობლო ცა, ხან ზღვა, ხან კუნძული, ანუ სხჳა და

სხჳა ბალის მშვენიერი ყვავილნი.

ახლის და შემძლებელის სულის ძალით, ნიჭი იმისი იშლებოდა, როგორც ნაყოფი თბილის ჭაერისა; გონება იმისი ხარბათ შეჰკრებდა სხჳა და სხჳა სწავლასა; ის კითხულობდა ყოველსავე, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა. გაზეთებს კი უწოდდა ფურცლებსა, რომლებზედაც ეწერა ზღაპრები; და ისე შეეჩვია იმათ კითხვას, რომ ხშირათ სთხოვდა სხვებს აეხსნათ მისთჳს ის, რაც არ ესმოდა იმას. ამ ზღაპრების ფურცლებმა გარდასწყვიტეს იმისი სვე.

ერთხელ ის იყო ამსტერდამის ყავახანაში, აიღო იმან გაზეთი, სადაც ნახა დაწერილი ბალის ხსენება; ის ათრთოლდა იმ სიტყვის ამოკითხვაზედ და თვალები შიგ ჩაურჭო ამ გაზეთის ფურცელსა. დაუწყო კითხვა იმას, და აი ამოიკითხა: «გოლლანდიელნი გავიდნენ ბალის კუ-
«ნძულისა წყლის პირს; ამ ავაზაკებთ ისინი დახოცვენ იქა
«და ველურთა დაამშჳდებენ ასე რომ მალე დაემორჩილებ-
«ბიან ეს გაუნათლებელნი კერპთ მსახურნი ბალიელნი
«ძლევა მოსილს გოლლანდიის საჭურჭელსა და მალე და-
«უწევენ ძრწოლით ყურებასა სამფეროვან ფლაგსა (იალ-
«ქანსა.)»

გლენტეკს აუდუღდა სისხლი; დაჭმუჭნა ხელში გაზეთი, დახია წვრილათ და გამოვარდა კარზედ; ლაქიამ შეაყენა ის და მოსთხოვა ფული; გლენტეკმა ჩაიდო ჯიბეში ხელი და რაც მოხვდა იქ თეთრი თუ შავი ფული ამოიღო გადუგდო და გავიდა ქუჩაში; იმას უბნელდებოდა თვალები და თავზრუ ესმოდა; ხმა ეკიპაჟებისა და

ხალხისა იმას იმას ეჩვენებოდა ომიანობათ. გაიქცა იქიდამ და პირდაპირ მიიჭრა გავანში, სადაც ერთმა ხომალდმა აუშვა იალქნები.

—ეს სადაური ხომალდია, ჰკითხა ერთს იქ მდგომს.

—ანგლიული.

—სად მიდის?

—იავაში.

—კაპიტანი ჰყავს ამ ხომალდსა?

—ჰყავს.

მიუბრუნდა კაპიტანს და უთხრა,—წამიყვანე მეცა?

—კარგი! რას მომცემ?

—ფულსა.

—რამდენსა?

გლენტეკმა ამოიღო ჯიბიდამ რაც ჰქონდა და გადუყარა: კაპიტანმა გადასთვალა, რაც ერგებოდა წასაყვანი, სხვა დაუბრუნა უკან და უთხრა:

—წავიდეთ.

—გეთაყვანე კაპიტანო, უთხრა გლენტეკმა. წაიღე სრულათ ეს ფული, ოღონდკი იავაში მიმიყვანე უთუოთ; ძრიელ საჭიროა ჩემი იქ მისვლა.

კაპიტანი იყო ძრიელ განათლებული და კეთილშობილი კაცი, იმან გაიცინა და უთხრა: არა, სულ ვერ გამოგართმევ მაგ ფულსა, შენ დაგჭირდება კიდევ ეგ ფული სასმელ საჭმელზედ.

—მე არაფერსა ვჭამ,

—როგორ? იავამდინ არაფერსა სჭამ? იცი როგორ შორს არის ისა?

—მართლად არ არის ახლოს, სთქჳა ამოოხრებით გლენტეკმა; მერე სულ ზღვით და ზღვით სავლელი. ერთის სიტყვით წამიყვანე მე იქ უთუოთ. მერე მოსტაცა ორივ ხელი, უყურებდა ვედრების თვალებით და კითხავდა კიდევ: მიგყავარ თუ არა? მიმიყვან თუ არა იავაში?

კაპიტანს მოუვიდა ცრემლი და უთხრა: მერწმუნე უთუოთ წაგიყვან და მიგიყვან კიდეც იავამდინ.

—წყლის პირამდინ თუ არა? ჰკითხა კიდევ გლენტეკმა.

—სწორეთ წყლის პირამდინ.

—მერე როგორ შეუძლიან მისვლა დიდ ხომალდს იქ წყლის პირსა? იქ ხომ ქჳშაა?

—არაფერია, უთხრა კაპიტანმა, ან შემოუვლით ქვებსა და ან ნავებით გავალთ.

—წყლის პირზედ, რომ გავალთ ხომ გამიშჳებ საით მინდა?

—გაგიშჳებ.

—ოჰ! შენ ნახავ, თუ როგორ აღტაცებით გავიქცევი ჩემის მამულისაკენ; გავფრინდები როგორც ქარი, როგორც ირემი თავისუფლად; მე ღონეც მომემატება მაშინ. იქ ვიცხოვრებ მთებში და არა ამისთანა ტბებში.

კაპიტანი უყურებდა საკუთარის თანამონაწილეობით; მოსწონდა იმისი დიდებული კავკასიური სახე, ახოვანი ტანადობა, და ელვარება დიდრონის შავის თვალებისა. იმ წამში ძნელი დასაჯერებელი იყო თუ გლენტეკი იყო უბრალო კუნძულის მცხოვრები.

—იყავ მოსვენებით, საყჳარელო მეგობარო, უთხრა

კიდევ კაპიტანმა, ჩუჱნ მშჳდობით მივალთ.

—იმედი მაქუს, რომ მშჳდობით მივალთ, უთხრა გლენტეკმა, შენი კარგი ხომალდი კიდი შენ კარგათ დაემორჩილება, კეთილო კაპიტანო, გაშლის როგორც ფრთებსა, თავის იალქნებს და მიგვიყვანს დანიშნულს ალაგს. ნეტავი შენ თეთრის შთამომავლობისა არ იყო, კაპიტანო! მაგრამ შენ მგონია არახარ თეთრის მოდგმისა. შენ აქ გათეთრებულხარ, და როდესაც დაჰყოფ რამდენსამე ხანს ჩუჱნის ქუჱყნის მახლობლად შენ მიიღებ იქ სხუა ფერსა, და მაშინ შენ იქნები უფრო სასიამოვნო საყუარელი სანახავი ჩემთჳს.

და როდესაც ამას ეუბნებოდა, უსვამდა კაპიტანის პირზედ ხელსა, ისეთის გრძნობით, ისეთის სიყუარულით, რომ იყო საგრძნობელი, ვინემ საცინელი; მხოლოდ ერთი ბრიყვი მატროსი დასცინოდა გლენტეკს.

ბოლოს წავიდნენ; გზაში ყველას შეუყვარდა გლენტეკი, როგორც ძმა; ის საკუთარის სურვილით აღასრულებდა სხუა და სხუა კაპიტანის ჩაბარებასა, შველოდა მატროსებს სხუა და სხუა მუშაობაში; თუ ვინმე მატროსი გახდებოდა ავათ, მაშინ ის აღასრულებდა იმის მაგიერს სამსახურსა. იქ ისწავლა ვარსკვლავთ მრიცხველობის და ზღვის კარტების იარაღები. თავისუფალს დროს თვალს არ აშორებდა კარტასა და ეტყოდა ხშირათ კაპიტანს: შეხედე მალაქქიდამ სუმატრიამდის სულ თითქო ერთი ადლიაო, სუმატრიიდამ იავამდის კიდევ უფრო ცოტა გზა სჩანს, და ჩუჱნ აი რამდენი ხანი მოვდივართ და ვერ მივაწიეთ კიდევ ჯერა; აი მინდა რომ დავაბიჯო

ჩემს მიწას ფეხი და გავიქცე. მაგრამ სად არი ჯერ; თვალი ძრიელ ატყუებს კაცს ზღვაში, განა?

კაპიტანი უსმენდა ამ ყმაწვილურს ლაპარაკსა და სტკბებოდა იმისის სიხარულით და ოცნებებით.

ბოლოს გამოჩნდა იავა; ხომალდი დაუპირდაპირდა; თვალები გლენტეკისა აენთნენ ის მივარდა კაპიტანს, მოეხვია კისერზედ და უთხრა ცრემლიანმა: მშვიდობით კეთილო კაპიტანო! მერე გაიქცა მატროსებთან, გამოართჳა ყველას ხელი, და იმათში იყო ერთი ხნიანი კაცი წაუსვა იმას თავზე ხელი, გამოეთხოვა და ჩახტა ზღვაში ერთი წამის შემდეგ შეხედეს. რომ იმან ამოყო თავი წყლის პირზედ, გაიბერტყა ტანი, მიიქცა ხომალდისაკენ, დასდგა მუხლზედ, დაუკრა იქიდამ თავი, აიღო ქჳშა, აახნია ჰაერში და გასწია მთებში. იმას იმ დროს ფული აღარა ჰქონდა; იზრდებოდა ხილითა; ფეხთ საცმელი გაუცვდა, ტანისამოსი შემოეხა; საჭირო იყო დაფარულათ შესულიყო ბაღში როგორც განდევნილი საუკუნოდ, დაბრუნებული უკანვე, ის აძლევდა თავისთჳს სიკჳდილს. ტანისამოსის, საზრდოს და ნავის მოსაპოვებლათ, ის დაუდგა დროებით მოჯამაგირეთ ერთს შაქრის ლერწამის პატრონს, მაგრამ აღა შეხჳდა ძრიელ ძუნწი და სასტიკი. როდესაც შენიშნა, რომ ის მუშაობდა ერთი ორათ მეტსა სხჳებზედ, იმან სხჳებსაც მოხთხოვა ისივე სამსახური; ამაზედ სხჳებთ მოიძულეს გლენტეკი; ხშირათ მიაყენებდნენ ხოლმე იმას შეურაცხებას და ბოლოს მოინდომეს იმისი მოკჳლაც მეტი გზა არ იყო, უნდა გაპარულიყო. ერთხელ ის ჩავიდა წყლის პირზედ; იქ ნახა

ერთი ძველი ნავი, დააკერა ის საჩქაროდ ჩაჯდა, შიგა და გაცურდა ზღვაში; იმ დროს ამოვარდა ქარი ნავი ქუაზედ დაუმტვრია, თვითონ ჩახტა ზღვაში და გავიდა ცურვით ნაპირზედ; დაღალული და დაწყვეტილი დაწვა მიწაზედ და დაიძინა. გამოეღვიძა მეორეს დილას, ნახა, რომ გარეშემო სულ ნაცნობი სამშობლო ადგილებია; იმას დაუბრუნდა ისევ ძალა და მხნეობა, გაიარა ცოტა, ხედავს იმ ბზის ხეებსა, რომელთაც ჩრდილ ქუეშ იდგა ოდესმე ნაცნობი ქოხი, და, რომელიც ეხლა აღარსად იყო, ხედავს იმ ადგილზე მხოლოდ მაღალს მწვანე ბალახებსა და ყვავილებსა. სულ ყოველითე გაითავდა ჩემთვის, სთქუა იმან ბოლოს ხმა მაღლად, ახლა ჩემი სიცოცხლე, ჩემი სული უნდა მევსწირო ჩუენს მშვენიერს ბაღსა, სთქუა ესე და წავიდა პირდაპირ მსაჯულის სახლისაკენ.

იმის კარებში იდგა შეჭურვილი მცუელი; შეხედეს რა, რომ ის გაბედვით მიდიოდა, მცველებმა მისცეს იმას, გზა მსაჯული იჯდა იმ დროს რბილს დივანზედ და სწევდა თამბაქოს ევროპიულის ჩიბუხიდამ. იმის ოთახში იდგა რამდენიმე მებელი, და ეს აჩვენებდა რომ მსაჯულს უნდოდა ევროპიულად ცხოვრება. როდესაც დაინახა ის დაგლეჯილის ტანისამოსით, დაუვარცხნელის თმით და შენიშნა, რომ იმან არც თავი დაუკრა და არც ბოლიში მოიხადა, მსაჯული გაწყრა და სახე იმისი შეიქნა მეტად მრისხანე.

—ვინა ხარ? შესძახა წარბ შეკრულმა მსაჯულმა, როგორ გაბედე შენ მოუხსენებლად შემოსვლა? განა არ იცი შენ ჩუენის მხარის ჩუეულებაა? განა არ იცი რა პატი-

ვისცემით სარგებლობს ბალში ჩჳენი მსაჯული და უფ-როსი? შენ უთუოთ არ იცი ვის წინა სდგახარ.

—ვიცი უ მსაჯულო, მიუგო გლენტეკმა, გთხოვთ მომიტევოთ. ახლა დრო აღარ არის ბოდიშის მოხდისა უნდა იცოდე რა საჭირო საქმე მაქჳს სათქმელი შენთან. მიცნობ თუ არა?

— ვერა, ვერ გიცნობ, უთხრა მსაჯულმა.

— მე ვარ გლენტეკი.

მსაჯული წამოხტა ფეხზედ უბედურო იცი რა გიქნია შენა? ჩჳენის სჯულით შენ, ეხლავ უნდა მოგაკვლევინო.

—მე კარგათ ვიცი ეგა, მაგრამ ჩემი თავი ეხლა სხვისთჳს რისთჳსმე უფრო საჭიროა, ვინმე ხანჯლისათჳს; და დარწმუნებული ვარ, არც ერთი პატიოსანი ბალიელი მე არ გამომიმეტებს სასიკჳდილოთ, და თუ გამომიმე-ტებს ვინმე თავის საუბედუროთ.

—რა მესმის? რა გინდა სთქჳა მაგით? შენ მუქარით გინდა შემაშინო მე განა?

—არა, უ მსაჯულო, მე ეხლა შენ არ გემუქრები, მხოლოდ გევედრები!

— რაზედ მევედრები? რა გინდა ჩემგან?

—ჩჳენს სამშობლოზედ, ჩჳენს საყჳარელს ბალზედ.

—შენ მაგაში შემცდარი ხარ, საყჳარელო გლენტეკ, ბალი ეხლა თავისუფალია; ჩჳენ მოსვენებულნი და კმა-ყოფილნი ვართ. ომი დასრულდა.

—ხვალ ისევ იწყებს ომი, და თქჳენ კმაყოფილს და მოსვენებულს ბალიელებს, როგორც ძაღლებს. ჩამოგა-ხრჩობენ გოლანდიელები თქჳენი სახლების წინ.

— ნუ ლაპარაკობ იმათზედ აგრე ამაყათ. გახსოვდეს, რომ ისინი არიან ძლიერნი კაცნი და ჩუენი მეგობრები.

— როგორ თუ მეგობრები? ვისი მეგობრები არიან ისინი? ნუ თუ ჩუენის თავადების, რომელნიც იმათ მოსყიდული ჰყავთ? ანუ ჩუენის სარწმუნოების, რომლისაც აღმოფხვრა იმათ სურსთ? ანუ ჩუენის ღმერთების, რომელთაც გამოათრევენ თავისას სამლოცველოდგან, როგორც ტყვეებსა და წაიღებენ ევროპაში, რომ გამოსდგან. იქ ქუჩებში თეთრის კაცების განსაკიცხავათ? რით დაგვიმტკიცეს იმათ თავისი მეგობრობა? იმით ხომ არა, რომ ჩუენი მშუენიერი მიწა იმათ შეღებეს ჩუენის ხალხისავე სისხლით? სწორეთ გითხრა: კარგი რამ არის ის მეგობრობა. როდესაც ხელის მაგიერ შენ გამოგიშუერენ ხანჯალს, რომლითაც იმათ დაუკლავთ ან მამა, ან დედა, ან და, და ან შენი ცოლი; აბა აიღე ახლავ საწყალო ბალიელო შუბი, მოჰკიდე ხელი მაგრა მინამ თითები დაცვივდებოდეს? ოჰ წყეულ და შეჩუენებულ იყოს ამ გვარ მეგობრობა!

გლენტეკი გაჩერდა ცოტა ხანს. სევდის მრისხანება უჭერდა იმას ყელში და არჩობდა იმას. მსაჯული კუნტამდა დივანზედ; ხან წითლდებოდა და ყვითლდებოდა. გრძნობას შეურაცხებისას და დამდაბლებისას ისიც გრძნობდა მაშინ გულში; იმან ღრმათ ამოიოხრა და სთქუა: მე ეგ ყველა ვიცი, ყველას ვხედავ; შენ მართალს ანბობ, საყვარელო გლენტეკ მაგრამ რა გავაწყობა, რა შეგვიძლიან?

— როგორ თუ რა გავაწყობა? შევემათ და გავწყდეთ

პატიოსან კაცებათ, მამულისათჳს, სარწმუნოებისათვის და ჩუენის კარგის შთამომავლობისათჳს.

—ჩუენი მხარე ამოგდებულია ომიანობით, ჩუენი პლანტაციები, ჩუენი ბაღები სულ გადაჭრილია; ძლივს პატარა ახლა შევისვენეთ და ხელ ახლა როგორ უნდა მოუკიდონ ცეცხლი ჩუენს საცხოვრებელსა?

—მართლათ და თქუენ დაგისვენიათ, ეგე ისი თქუენს ლეშებსა და საფლავებზედ; ნაცვლად ნამისა ტყეებში მე ვხედავ ცრემლსა, ჩუენი ძველი ბზები დგანან, როგორც მოხუცნი, ამოგლეჯილის ჭაღარით, ყოველს კაცს ეშინია ან ბუჩქის შრიალის და მფრინველის ფრთების ხმის; ოჰ შენ უბედურო ბაღო! რა რიგათ გამოცვლილხარ, ამ ხუთს წელიწადში: ნუ თუ ხადაც თეთრი კაცი დასდგამს ფეხსა, ყველგან უნდა მიიტანოს მომსვრელი სენი, უპა-ტიურება ქალებისა და სულის სისუსტე კაცებისა? ოჰ რატომ მე არ მოვკვდი ტყვეობაში, უცხოს მხარეს; მა-შინ მე წარმოვიდგენდი მაინც წინეთ სიკუდილისა ყვავი-ლოვანს ჩუენს ბაღსა გამზედავათ, და ჩუენს ბაღიე-ლებს კეთილშობილად.

გლენტეკ გაჩუმდა კიდევ; დაღუნა თავი გადიყარა უკან მშუენიერი ხუჭუჭი თმა, მოისვა შუბლზედ ხელი, დაა-ბაკუნა ფეხები და სთქუა: არა უ მსაჯულო, მე არა მჯერა, რომ ბალიელს ასე განხრწნოდეს თავისი მაგარი გული. მატლი ასე მალე ვერ შესჭამდა მაგარს მთელს ხეს. მეც ტყუილად არ დაუფარავარ განკებულებას ზღა-ვის ზვირთებისა და სიკუდილისაგან.

—რა გინდა სთქუა მაგით? რას აპირებ? ჰკითხა იმას

შეშინებულის ხმით მსაჯულმა

—მე მინდა გადავძახო ბალიელებსა არწივის ხმითა, რომელიც მთიდამ დაეშვება საშოვარს; მე იმედი მაქვს რომ ბალიელების ვაჟკაცების გუნდი სიხარულით გამცემს პასუხსა, და ყოველის მხრიდამ შეიყრის თავსა, რომ ამოვსწყვიტოთ ეს საძულველი მოდგმა.

—უბედურო! რასა ფიქრობ? რა გამოვა მანდედამ?

—კეთილო მოხუცო! უთხრა იმას ბოლოს გლენტეკმა, მე მოვედი შენთან ისეკი არა როგორც მსაჯულთან და როგორც საწყალი მოგზაური, რომლისაც თავი განწირულია სასიკვდილოთ მე ვიცით, რომ შენ ხარ მეგოგობარი ჩემის მამისა, ვიცი არ გამცემ, ვიცი რომ შენც იტანჯები ჩუენის მამულის დამდაბლებისათჳს. ვიცი რომ შენს ჭაღარა თმას ქუეშ დაფარულია გამოცდილება, ჭკუა და სიბრძნე. გამამხნევე შენის რჩევით და სიტყვით. მაშინ მე ავალ მაღლა მთებზედ; იქიდამ გადავძახებ ბალიელებს; ისინი იცნობენ ჩემს ხმას, გამიგონებენ და შეერთდებიან ერთ ნაკადულათ, ჯგუფად. მოხუცო! მე მხოლოდ ღმერთების წინ დავცემულვარ მუხლზედ და არასოდეს კაცის წინ; ახლა ხედავ შენ, როგორ გეხვეწები მუხლებზედ!

მსაჯულს მოუკიდა ტირილი. ააყენა გლენტეკი; აძლევდა იმას ნუგეშს და ეტყოდა: საწყალო გლენტეკ! იცი უშენოთ რა მოხდა აქ ჩუენ კუნძულში?

—რა მოხდა? მითხარ, მიწის ძვრა ხომ არ იყო?

—არა გლენტეკ! ჩუენი მთები მაგრათა სდგანან; ისინი არ ინძრევიან კაცსაგთთას.

—მაშ რა მოხდა იქნება მომსვრელმა ჟამმა ამოხოცა ყველა ჩუენი მონათესავე, ან მამულის შჳლი?

—არა გლენტმეგ, არც ეგ ყოფილა, მხოლოდ ამას გეტყვი, რომ ერთობ დაიგვიანე.

—როგორ თუ დავიგვიანე? პატიოსან საქმეზედ ჩემის ძმების გამოხსნაზედ უცხოს ხალხის უღლისაგან, მე არა-ოდეს არ დამიგვიანია. სიცოცხლის ერთი წამი, რომ დამშთენოდა და მე მოვსულიყავი აქა სიკუდილის ერთის წამის წინეთ მაშინაც არ იქნებოდა დაგვიანებული ეხლა ბაღიელები ელიან ერთს ჩემს ხმას, მე რომ გადავსძახებ იმათთჳს იქნება ქუხილი, რომელიც წამოაყენებს ფეხზედ და დაათრევინებს საჭურველს, რას იტყვი ამაზე ბატო-ნო მსაჯულო და ჩუენო მეუფროსევ?

—არა გლენტმეგ, ჩუენ ჩამოვაგდეთ მშჳდობა, მოვა-წერეთ ხელი და მივეცით პირობა არასოდეს აღარ ავიღოთ იმათზედ საჭურველი.

—როგორ თუ მშჳდობა? მერე ვისთან მშჳდობა? მე ეხა ვარ ჩავისვა უბეში გველი, და წავიდე ღამის სათე-ველად ვეფხვის ბუნაგში ვინემ გოლლანდიელს გაუშვი-რო ხელი შერიგებისა. ესეც უნდა გკითხოთ ვის ჰქონდა იმათთან ლაპარაკი? განა ჰკითხა იმათზედ სრულიად ჩუენს ხალხსა განა ჩუენი ხალხი იტყოდა იმას: «აი შეგვკარით, შეგვაბით ბორკილები და მიეცით მონათ თეთრ კაცე-ბსა?» ვის ჰქონდა უფლება გამოლაპარაკებისა მუდამ მწოვარი ყმაწვილების მაგიერ, მერე გაყიდვა იმათის რძი-სა, იმათის სისხლისა, იმათის თავისუფლებისა?

—ვის ჰქონდა უფლება ლაპარაკისა აჩრდილის მაგიერ

ჩუენთა წინაპართა, რომელთაც ჩაიტანეს საფლავებში ამპარტავნული გრძნობა თავისუფლებისა და დაუმოკიდებლობისა, და დამუჯდენ იქ საუკუნოდ, რომ აღარ წარმოსცდენოდათ იმათ აღარც ერთი სიტყუა, შემარცხვენელი თავისის მხარისა. თავისის შთამოებისა გოლიანდიელებთან ექნებოდათ ლაპარაკი მოღალატეთა ჩუენ თავადთა, რომელნიც ჰყიდდნენ უსინდისოთ თავებსა უმჯობესითა ბალის შვილებთა! არა შერიგებასა, და არა ბედნიერებაზედ თავისის მხარისა,—ფულზედ მოაწერდით თქუენ ხელსა! ჩუენს სისხლს თქუენ გაჰყიდდით ევროპიელებთან პირობაში წონა ოქროთ ეს. დასაჯერებელი არ არის! . .

აქ მსაჯული გაწითლდა მრისხანებით და დაუყვირა:

—გლენტვე! მიკვირს როგორა ჰბედავ აგრე ლაპარაკს ჩუენს თავადებზედ ისინი არიან სჯულისა და ძლიერებისა მამაცნი; იმათ ფიქრში არის სიმართლე იმათ სიტყუაში .

—იმათ ფიქრში არის სიყალბე, სიტყვებში, ღალატი და ორპირობა, მიუგო გლენტვემა.

—გლენტვე გახსოვდეს, რომ შენი თავი ორ რიგათ განწირულია სასიკუდილოთ, როგორც განდევნილისა და როგორც მაშფოთარისა მე ერთი რომ ვანიშნო კარის მცველებს, შენი თავი გადმოგორდება ჩემ ფეხებ წინ!

გლენტვემა შეხედა იმას ამპარტავნულის თვალით, ამოიღო ხანჯალი და მივიდა ახლო მსაჯულთან, იმანაც ამოიღო ხანჯალი; ეს შენიშნეს კარის მცუელებმა და შეკრეს კარების გამოსავალი გზა

—მე შენს სახლში ვარ, და ეს გიხსნის მხოლოდ შენ სიკუდილისაგან, უთხრა გლენტეკმა მსაჯულს. მაგრამ იცოდე ესკი, რომ მე არა მაქუს გასასყიდი თავი; რომ ის არ ეკუთვნის არც ჩუენს თავადებს და არც შენ; და თუ ის იქნება როდისმე მოკვეთილი ეს იცოდე არც შენის ხმა-ნებით იქნება მოკვეთილი, და არც შენის ბჯველებისაგან. აქ კიდევ უნდოდა რაღასიც თქმა მაგრამ ტუჩებმა დაუ-წყო თრთოლა, თვალები აევსო სისხლით, სისხლი ეცა იმას თავში და დაიწყო საზარელის ხმით ძახილი:

«ბაკი სისხლში სცურავს, და გლენტეკ შიგ ბანაობს!
«გლენტეკ თავისუფალია; ამპარტავნული ნადავლი მო-
«ჩქრიალებს მთიდამ, და მოაქუს თან თეთრის ქვრო-
«პიელების მგზავრები!»

«ქარი გრიალებს, და მთის არწივი ცეცხლსა და გო-
«რიანტელში სჭრის თავისის შეძლების ფრთებით ქა-
«რსა სისხლოვანი აჩრდილი მე მთებში მეძახის»

«აბა წავიდეთ მთებში, იქ გავიკეთოთ ბუდეები; მე «ამომივიდა არწივის ფრთები, ორბის კლანჭები.» და იქნევდა რა ხანჯალსა გამოვარდა გარეთ; მცველებმა ში-შით გზა მისცეს.

—დაიჭირეთ ეგ, არ გაუშვათ, მოჰკალით ეგ ავაზაკი მაშფოთარი, იძახდა მსაჯული.

მაშინ გამოუდგნენ ცულებით და გლენტეკ მირბის ქუჩებში და იქნევს ხანჯალსა; ხალხი ძრწოლით იმალებოდა ზოგი სახლში, ზოგი ხეზედ ადიოდა, დედები სტაცებდენ ხელს თავის შვილებსა და შერბოდნენ მეზობლის სახ-ლებში; საწყალს გლენტეკს დაუწყეს სროლა ქვებისა, გა-

მოუდგნენ კეტებით, როგორც ცოფიანს მხეცს მაგრამ ის თავისის ხანჯლით იგერებდა იმათ. ბოლოს გასწრო იმათ, ავიდა მთებში და დაიმალა იქ ქვებსა და ხეებში. რამდენსამე ხანს ცანცჯფრეჩული და შეშინებული ხალხი რომელმაც გაუშვა ყოველი სამუშაო, შადგა და უყურებდა იქნება კიდეც გამოჩენილიყო ის საშიშარი და გადარეული კაცი, მაგრამ გლენტეკ გაჰქრა როგორც მოჩვენება.

დიდ ხანს ირბინა საწყალმა გლენტეკმა, ავიდა იმისთანა მაღალს მთაზედ, სადაც გარეულს თხას ვერ შეეძლო ასვლა.

ბოლოს დაღალული დაეგდო ერთს ფლატოს პირზედ და დაეძინა ათი საათი ეძინა იმას ზედი ზედ; ბოლოს უცეფ ბურანში იგრძნო, რომ ვიღაცამ გადაათრია ის ფლატოდამ, რომ ვიღაც ასხამდა იმას პირზედ წყალს, უსვამს სოველს ხელსა გულსა და თავზედ, ანძრევს იმას ნელა, უძახის ხმით ნაცნობით სიყრმეში, რომელშიაც ისმის საყვარელი დედის, სინაზე მამისა და მეგობრობა ძმისა: გლენტეკ მოეგო გონებას გაახილა თვალი შეხედა და დაინახა... რომ იმას ადგა თავს გასიარი. მაგრამ არ უჯერებდა თავსა იმას ეს ეგონა სიზმარი.

—გასიარ შენა ხარ? ჰკითხა სუსტის ხმით.

—მე ვარ გლენტეკ მე!

—გასიარი?

—გასიარი, გლენტეკ, გასიარი!

—სადა ვართ ჩვენსა?

—მთებში. გლენტეკ, მთებში!

—აქ რათა ვართ გასიარ? განა აღარც მამა ჩემს და აღარც მამა შენს ქოხები აღარა აქჳსთ?

გასიარ მოჰყვა აქ ტირილს.

—რასა სტირი ქალო? რა გქვიან შენა

—გასიარ მქვიან გლენტევ, ეხლა აგი გითხარი განა ისევ დაგავიწყდა?

—ჩემი სახელი რაღა?

—ჰო, მართლა შენ მითხარი წელან, რომ შენ გასიარ გქვიან, მე რაღა მქვიან?

—ოჰ გლენტევ, ჩემო უბედურო გლენტევ. სთქჳა გასიარმა გვნესით, რა დაგმართნია? სად არიან: შენნი მშჳენიერი მეხსიერება, შენი ჭკუა და გონება?

მაშინ ცდილობდა კიდევ მოეგონა რაღაც გლენტევს მაგრამ უცებ იმისი სახეზედ გამოიხატა კმაყოფილება და გაეცინა. მერე კიდევ ჩავარდა ბურანში, დახუჭა თვალი და დაეძინა

გასიარმა, შემდეგ გლენტევის განდევნილებისა, ვეღარ აიტანა სევდა და მწუხარება და ვეღარ გასძლო ხალხში სადაცა დაჰკარგა პატივისცემა; გავიდა მთებში გაიკეთა იქ ქოხი და სცხოვრებდა იქა; საჭმელი მიჰქონდა იმისთჳს ნათესავებსა და უმეტესი ნაწილი ის იზრდებოდა ხილით და სხჳა მცენარის ნაყოფით. ის უცებ წაადგა თავზედ გლენტევს, და შემდგომ იმათის სამწუხაროს ლაპარაკისა, გადაათრია როგორც იყო თავის ქოხში, და არც ერთს წამს აღარ მოშორებია; სულ ისე უვლიდა თავის საყვარელს ავათ მყოფსა მეორე დღეს გამოეღვიძა გლენტევს, სრულებით გონებაზედ მოგებულსა და პირჳელი

გამოხატულება დაბრუნებულის კაცობრივის გრძნობისა იყო ცრემლი. ბოლოს ცოტცოტა გამაგრდა, მოეხვია კასიარს დაკოცნა და უთხრა:—უშენოთ ვინ იცის რომლის მხეცის სადილი შევიქნებოდი მე შემდგომ იმან შეირთო ის ცოლათ; იმათ გააკეთეს ქოხი, მოიშენეს რამდენიმე შინაური პირუტყვი და ფრინველი და სცხოვრებდენ სიყუარულით და ბედნიერებით; მაგრამ იმ ბედნიერებაში ერთი მხოლოდ აწუხებდა გლენტეკსა, რომ იმისი ბალი იყო ევროპიელების ხელში; ხედავდა რომ გოლლანდიის ხომალდებმა უფრო და უფრო მოუხშირეს იქ მისვლა ხშირათ ჩამოუშვებოდა ხოლმე მთებიდამ ხალხში, მიუგდებდა ყურს ხალხის ლაპარაკსა. შეიტყობდა იმათ ჭაზრსა და წავიდოდა ისევ თავის მშუენიერს, საყუარელს კასიართან, გოლლანდიელები ძრიელ ავაზაკურათ განაგებდნენ და მეურნეობდნენ ბალში, ამაზედ ხალხმა დაიწყო დრტვინვა; უკმაყოფილება ვრცელდებოდა ხალხში ყოველს წამს; გლენტეკმა მოინდომა ამით ესარგებლნა

ერთხელ იმათ ჰქონდათ დიდი დღესასწაული; უმეტესი ნაწილი კუნძულში მცხოვრებთა მიიყვანა კერპის ტაძართან შემდგომ ღუთის მსახურებისა ბალიელნი გაიყვნენ სხუა და სხუა ნაწილათ. ყოველს კაცს ახსოვდა ერთერთი უკმაყოფილება გოლლანდიელებთაგან ერთისათჳს უფულოთ წაერთმიათ რამე მეორესათჳს მიეყიდათ ცუდი საქონელი ძვირფასათ, ზოგისათჳს მატროსებს წაერთმიათ ნავი, ზოგი ძალათ შეეყვანათ მატროსათ ლაპარაკი ამაზედ უფრო და უფრო მრავლდებოდა; ხროვა ხალხის

იურიდა ჯგუფად თავსა, უგდებდა ერთმანერთის ლაპარაკს ყურსა, და ბოლოს მოვიდა ისეთს სიშმაგეში, რომ ერთ ხმად დაიყვირეს: სიკუდილი ჩუენს მტრებს! გადასწყდა, დასრულდა მოთმინება! მაგრამ ვინ იქნება ჩუენი წინამძღოლი? ვინ იცის კარგათ იმათი მზაკვარება და ეშმაკობა?

მაშინ ბლენტეკ შევიდა შუა ხალხში. თავიდან ფეხამდის შეჭურვილი; იმისმა მაღალმა ტანადობამ, იმისმა კავკასიურმა სახემ, სამწუხარო შესახედაობამ და ცრემლიანმან იმისმა თვალებმა მიიზიდა ყოველი კაცის ყურადღება. იმან აიშვირა მაღლა შუბი და ამით ანიშნა, რომ იმას უნდა იმათთან ლაპარაკი, ყველა დაჩუმდა «ბალის კავკასცნო! გახსოვთ, რომ მე ხანჯლის ქვეშეიდამ წაყვანილი ვიყავი მონათ თეთრ კაცებთან; მაგრამ ჩემთვის ას გზის უადვილესი იყო მოეკვეთათ თავი ჩემს საყვარელს სამშობლოში. ვინემ ხუთი წლიწადი ვტანჯულ ვიყავ სამუღევლს უცხოს მხარეს და უცხოს ხალხში მე ვისწავლე ენა თეთრის კაცებისა, გავიგონე რასაც ფიქრობენ ისინი ჩუენს საწყალს ბალოზედ; იმათი აზრი, იმათი ლაპარაკი არის მხოლოდ იმაზედ, რომ ამოგვხოცონ ჩუენ იმათ მაგრამ გვეცადოთ რომ ჩუენ თჳთონ ამოვხოცოთ ისინი; ისინი სრულებით არ არიან მხედარნი, მებრძოლნი; ისინი არიან კაჭარნი უსინდისონი. მე გაგიძღვებით თქუენ წინა; ვებრძოლოთ, ვინემ უკანასკნელი ძარღვი გვიცემდეს გვამში ვისაც ეშინიან სიკუდილისა, ის ჩუენი ამხანაგი არ არის ის იყოს მგელი თავდაღუნული ვისაც უნდა იყოს თავისუფალი ბალიელთა

აბა ჩემკენ! მე ვარ გლენტეკი!

— გლენტეკ, გლენტეკ! ის დაბრუნებულა, ის მოსულა ის აქ არის! მივყვეთ იმას იძახდა აღტაცებით ხალხი.

რამდენისამე დღის შემდეგ ადგა მთელი ზალი ყოველი თავადი, რომელიც გრძნობდა ევროპიელთაგან შეურაცხებას, თავისის მეზობლებით შეერთდა საშინელს სარდალსა. გოლანდიელებმა შეიტყვეს ეს და მისცვივდნენ წყლის პირს. იმათ საბედნიეროთ მაშინ წყლის პირზედ იყო მოსული რამდენიმე გოლანდიის ხომალდი. იმათ იქირავეს მრავალი კიტაიის ნავები ჩასხდნენ შიგა, ჩაისვეს თავის ქჵჩუნის ხალხი და მიიყვანეს ხომალდებში მაგრამ იმ დროს რამდენიმე ქალი შვილებით ჩაუვარდათ ზალიელებს ტყვეთ ისინი მიჰგვარეს გლენტეკს. ზოგი იძახდა იმათ დახოცვას, ზოგი წვალებასა და ზოგი უვიროდა დაწვასა დედებს ესმოდათ ესე, იგლეჯდნენ თმასა ლოყებსა და მოსთქმიდენ. გლენტეკ დაფიქრდა ცოტა ხანს, ეს იყო საშინელი წამის ყოფა, რომელშიაც უნდა გადაწყვეტილიყო სვე საცოდავის დედების და უმანკო ყმაწვილების!

ქალები, სთქვა ბოლოს გლენტეკმა, როგორც ჩვენში, ისე თეთრს კაცებში არიან აჩრდილნი თავისის ქმრებისა ისინი დასდევენ ხშირათ მგზავრობაში თავის ქმრებსა, მგონია იმისთვის რომ დაუბილონ იმათ სასტიკი გული. მაგრამ, შვილები? ვის მტერნი უნდა იყვნენ ისინი? რაში არიან ისინი დანაშაულნი? როდესაც მე ვიყავ უცხოს ხალხში განდევნილათ, უნუგეშოთ. იქ ყრმანი ხშირათ მოდიოდნენ ჩემთან ალერსით და თუ მნახამდნენ მე მო-

წყენილსა მაძღევდნენ ყვავილებსა და თავის სათამაშოებსა იქ ბევრი იყო ამ გვარი ბოგში, როგორც ქსენი მე მგონია ამათშიაც ურევია ზოგიერთი იმათგანი დაუბრუნოთ ქსენი უკანვე დედებსა დეეხსენ კურთხევით მოიგონებდენ ხოლმე ისინი ჩვენს ქვეყანასა.

ამაზედ ყველა ეთანხმა გლენტეკმა თითონ ჩაისვა ისინი ნავში, მიიყვანა გოლლანდიის ხომალდებთან, დაუბრუნა იმათ, და უთხრა: აი ველურის მთის ორბის შურისძიება როგორია!

ეხლა გოლლანდიელებსა და ბალიელებს შორის არის მეგობრობა და თუმცა სურთ, რომ გოლლანდიელებმა სრულებით დაიმყრან ისეც ბალი მარამ მისი ორბი ფხიზლათ არის, და ყოველწამ მზა არის ჩამოეშვას მაღალის მთიდამ.

გ. დიდებულიძე.

# ვ ა რ დ ი. (*)

ერთსა კუთხეს, წალკოტს კორდზედ, ტურფა ნერგა
დანერგული,

ნაკადულის წინა შტონი ერთად ბუჩქად აღმოსული

გაზაფხულით გაიფურჩქნის, აღყვავდების მწყაზრად სრული

ეს არს ვარდი ყვავილთ მეფად მოლექსეთ[illegible]ან [illegible]სახე[illegible]

მას მიხედავთ გაფურჩქნილსა, დილის ნამით დანამულსა.

ვით მტირალსა ტრფიალისთჳს, სევდის ნაღვლით დაფა-
რულსა.

ტრფობისაგან ფერმიხდილსა, ქარისაგან შერხეულსა,

თავდახრილსა მწვანეთ შუა, მორცხვსა რასმე მოწყლულსა

---

(*) ეს საგანგებო ლექსი დაბეჭდილი იყო, თ. გ. ერისთავისაგან გამოცემულს ცისკარში და ჩუენ ისე მოგვწონს, როგორც სანიმუშო ქმნილება, რომ ჩუენგნით გამოცემულს ჟურნალშიაცა ვბეჭდავთ. რადგანც ბევრმაც ისურვა ამისი წაკითხვა. ავტორისაგან კვლმეორედ თვალ გადავლებულია და ამ დღეებში მივიღეთ ჩუენის თხოვნით. რედ.

კჳლავ მიხედეთ მას მღიმარეს, ვით მკრთოლვარებს მხიარულად,
ვით ირისობს მრავალ ფერად, მზისა შუქსა გულს მიდუმულად,
მწვანით მოსილს ბუნების სძალს, ვით ეგზნების მეწამულად,
ბროლ-ლალს ერთად შეჯუფილსა, ფეროვნებით შეფრქვეულად:
ვით გარემო, მას გარდაშლილს ახლად ნორჩნი აშვენებენ,
ზოგნი ახლად ჰოწს იჩენენ. ზოგნი კჳალად მწვანოსნობენ,
ვით მორცხვობით თჳს შვენებას აშიკთ კრძალვით აჩვენებენ,
ტრფიალებით ნარნარობენ. ქალწულებით ამაყობენ
ნიავთანა მომღერალნი. სურნელებას მიმოჰფენენ,
წყაროთ ჩუქქრას, ნიავთ ყღერას. ერთხმად ტურფად შეაწყობენ
მომდინარეს ნაკადულში, ვით სარკეში ელვარებენ,
დამზერიან თჳს სახესა, ვით მშჳენივრად აბანებენ
მთრთოლვარებენ, კმოლვარებენ, მკრთოლვარებენ მრავალ ფერად,
ზურმუხტის ფრად. იაგუნდად, ლალად ბრის დასამღერად,
ქჳცმ მწვანილნი, და ყვავილნი ნიავით ღელდენ მჭკერად,
ზედ აჩრდილსა, ვარდი შავად ხატავს დიად მშვენიერად
მრავლად შტონი. ერთად მდგომნი, ერთს სამეფოდ ყოვლადობენ,
ზედ ეკალნი შუბოსანნი, ვით მხედარნი ბანაკობენ,
ვით მხმილავად, ვარდის მცველად, მღვიძარობენ, გუშაგობენ,

ბულბულისა სამესისხლოდ, რამდენს რაზმთა განაწყობენ!
შტვენს ბულბული, მთელს ღამესა, გმინავს, უკრთობს ვარდსა ძილსა,
სულ მიდეულს უსულს დასძახს, ველსა მოფენს ხმასა ტკბილსა,
ხან ნიავის ჟღერას მისძახს, ხან მაღლად შტვენს, ხან ხმობს ზილსა,
მას მგზნებარე გული უმღერს, შეშლით იწყებს. ხან სიცილსა.
ვარდსა მგრძნობსა, მისსა მსმენსა, გულსა ტრფობა შეეპარა:
სევდისაგან გაფერმკრთალდა, სიხარული მიეფარა;
ცისკარს ვითმცა გაუღიმა, ავრორასთან ცრემლი ღუარა;
კუპიდონმა გულს ისარი განაწონნა, მთლად დაბზარა
ვარდმან ცრემლნი ანკალდნა, სიყვარული ასახმილა,
თავი ვითამც შეიურვა, რაზომც თმენით გაიწვალა,
ბულბულს მიჰყვა მოიხადა, მისი ტრფობა მოივალა,
ძლივს შეერთდა ვარდი ბულბულს, ძლივს სევდისგან მოიცალა
ორნი მწყაზარნი ტრფიალნი ელირსნენ შეერთებასა,
ეკალთა უკრძხეს, უკუდგნენ, ემონნენ ვარდის ნებასა,
მათ ორთა ტურფის მკესების რა ბრძენი აღწერს ქებასა,
ვარდი ჰკავს სათნოებასა, ბულბული განათლებასა.
თჳსი კუთხე აღამაღლეს და შეამკეს ცათა დარად,
ღჳთის მადლი ყველგან მიჰფინეს, ზღვად, ჭალაკად, მთად და ბარად,
განავრცეს თჳსი სამძღვარი, აღმოსავლეთით და ბღჳარად,

ჭულავ განათლება, ვაჭრობა, განავრცეს მათ გასაკმარად
წარხდნენ ჟამნი, და განცდანი, ესივნენ ვარდსა სარებლად,
ქვავი დასხნავის, აშიკად, ჭკრეფს კაცი შეუბრალებლად,
სიბერე სიკეკლუცესა, უჭკნობს მას გაუხარებლად,
ჭულავ ქარიშხალთა მოჰბერეს ფურცელთ ცათ გასატანელად.
აგლიჯა ვარდსა ბულბული, ქარმა მძაფრად მქროლველმან,
წაართვა მცნება, გრძნობა ხმა. მას ღმერთმა მეხთა მსროლელმან,
ჭულავ ბერავს ქარი ვარდსა ცრცვნის. მან რა ქმნას მრწოლავით მძრომელმან,
მთლად განაბნია ჭკარში, იგი მის მდევნელ, მწყრომელმან.
ბულბული ძეძვზედ იმალვის, სისხლისა ცრემლთა მფრქვეველი,
სჭკრეტს ვარდსა ქარით განეულს, სტანჯავს ზეცად ქვეველი
შეკრის ფარჯანებრ ჯერ არის თავის სამთლეში დამწველი,
აქლოჯს, რომ ცოცხალს ტანჯულსა ელევის გლახ სყუ-ჳარელი,
შეანაწყენი ფურცელნი, ვარდისა გაყვითლებულნი,
დასხვივდნენ დაჭკნენ, განიბნენ, დროთი მოუძლურებულნი,
იმედურის რხევით, მართ შტონი, გამხმარნი გაშიშლებულნი,
გუშინ ბრთოლვიდენ დიდებით, დღეს ვით შეიქმნენ ვებულნი.
ელის ახალსა გაზაფხულს, ფესვი დჳთით დაფუძნებული,
რამთენს მაგალითს გვაზრებს ვარდი ჯერ აღუვავებული,

მერმე გამხმარი, შიშველი უგულითურთ გამქისებული,
ქუეყანასა ჰგავს, რომელ არს კეთილი განათლებული.
ვარდის სიშიშვლე არა ჰგავს ქუეყანას ბიწით გამქ-
რალსა?
როს გარყვნილების გრიგალი არყევს სიბრძნესა და ძალსა.
სათნოებისა ყვავილსა, აღფხვრის რა მიჰფენს ბნელს ალსა,
ჭეშმარიტს სჯულის სოფიზმა, აბნელებს, ზნეს და სწა-
ვლასა.
ვით გარყვნილებით ქუეყანა ხდება სრულიად ოხრდება,
გონება ჰქრება ბნელდება, გული დაფლდება, ბრჯგუნდება,
სამეფო იწყვლის. ირყევის, იმუსვრის და უძლურდება.
ყოვლი კეთილი მიეცრცვნის, ვიდრე ახლა აღყვავდება.

თ. დავ. მაჩაბელი.

---

## ჩანგურის ძალა.

მოდი ჩემო ჩანგურო,
მსურს, ისევ გემსახურო
გამღერო სულ სიმართლე,
და ბევრი მოგამღერო!
ოდეს, შენი მომტანი,
მე მუზი გავიცანი,
თითქოს ხელ-ახლად ვიშვე,
და მაშინ თავი ვიცანი.
სულმან ჰგრძნო უცხო ძალი,

გულშიდ აღმენთო ალი!
ვნახე, თურმე ბრმა ვიყავ,
და გავახილე თვალი. . .
უცხო ძალი ვიგრძნე რა,
გულმა დამიწყო ძგერა!
მაშინ ავიღე ხელში
და ვიწყე საღმრთო მღერა. . .
რასაც თვალი ჰხედავდა
გულიც მის თქმას ჰბედავდა;
და იმ დღითგან მშჳდობა,
გულისათჳს გათავდა . . .
ვნახე, რომ მეგობარი,
თურმე იყო ხუმარი! . . .
და იმის სიყუარულიც,
ჩემდამო კი სიზმარი! . . .
თავს ვუთხარი; «გასწორდი!
კმა, რაც დღემდის მოღორდი?»
ხიზღით ზურგი უჩვენე,
მეგობარს და მოვშორდი.—
ვიხილე სწავლულები
მე, სახელ განთქმულები;
ვნახე, ტვინზედ ეწერათ:
«უგუნურების ძვლები!»
თავს ვუთხარ. «გასწორდი!
კმა, არს დღემდის მოღორდი!»—
შებრალებით უჩვენე.
მათ ზურგი და მოვშორდი.

კეთილ კაცთან მივედი,
მაზედდა მრჩა იმედი,
ვნახე და რისხვით გული
ამენთო ვით აბედი —
ტკბილად დაიწყო სტვენა,
მოხიბლა ყვეს სმენა,
და ბოლოს კბილებითა,
დამალა შავი ენა.
სისხლით უყარდა ხელი,
გულშიდ ედგა მას გველი,
და შუბლზე კი ეწერა
შავათ: «ფარისეველი!»
თავს უთხარი: «გასწორდი?
კმა, რაც დღემდის მოღორდი!»
წყევით ზურგი უჩვენე
იმასაც და მოვშორდი —
მაშინ მოვსდრიკე ქედი,
გადავიწყვეტე იმედი,
დავჯექ კურცხალის ურითა,
და მოვსთქვი ჩემი ბედი —
ვსთქვი რა მწარე ნანინა,
თუალ ცრემლი ბოშედინა! . .—
ჩანგურო! შენც მოგშორდი! . .
ხომ გახსოვს — დამქმინა. . .
მაგრამ მოჭფრინდა მუზი,
რისხვით მითხრა: «რას უზი?
— გულის მითხრა — გახსენი

ჰმ გრძნობისა აუზი!» . .
ხან სიტკბო აღაფე,
ხან ნაღველი აქაფე.
ჭეშმარიტება აქე,
და ბოროტი აგაფე! . .
ხალხს სძულს ეგ სამსახური,
დაგრჩება უმადური,
მაგრა შენ სიმთ ჩამოჰკარ
ააკვნესე ჩანგური?» . .
მაგრამ გარისხებული
ვეტყოდი: «ხარ წყეული!
რათ წამართვი სიამე
და აღმიშფოთე გული?
მესმის ყელგნით მტერობა,
გამიქრა მეგობრობა,
მის შემდეგ რა შენ იწყე,
მუზავ, ჩემთან სტუმრობა.
წამართვი ტახტათ გული,
ზედ დასდევ სიყვარული,
და მის შემდეგ აღარ მაქვს
შიგ არ რა დაფარული!—
აწ აღარ მაქვს მე ფარად
პირმოთნეობა მარად,
და მისთვისცა ვერვის ვხედავ
მეგობრად გამხარად! . . .
მუზამ დამიგდო ყური
და მითხრა: «განა ჰსური,

რომ გყავდეს მეგობარი?
აჰა ჩემი ჩანგური!»
  შენი კვნესით მოიწყენს,
შენის შებით მოილხენს,
და ცრემლში დამდნარ ნაღველს
სიმებით შესკავს, იდენს! . .
  და ვინცკი ხორციელი
ნახო მის ბანის მთქმელი,
ის მიგაჩნდეს მეგობრად!
იმას მიეცი ხელი!»
  ეს მითხრა და გაფრინდა.
ის მშვენიერი წმინდა,
და კურთხევით დამძახა:
«აგისრულებ რაც გინდა!»
  შემდეგ შენ ხარ ნუგეში
გიდევს გრძნობით უბეში,
ტკბილ გრძნობას დაგლიღინებ
და საფლავს ზედ დაგახვნეში.
  შენით მიყვარს სოფელი! . .
შენი ბანისაც მთქმელი
ვნახე და ერთმანერთსა
გრძნობით მიეცით ხელი!
  მაშ აქ მოდი ჩანგურო.
უგუნურის დამამდურო
სამთავ გრძნობით ვიმღეროთ
და ტკბილად გავატაროთ დრო! .
  იმღერე რა გაჩერებს?

რას აყოლილხარ მტერებს?
ახმიქეც ხანს გეტყვის
და წერეთელი დაგმღერებს.

თ. აკ. წერეთელი.

---

## ე. ქ. ა. ლ.

გეკლუცს მთიებსა მოგიგონებ ტბრუცს და კრძალულს,
ტანსა კვპაროზს მონარნარეს მიწით დაფარულს,
სად ხარ მნათობო არ მოალხენ მოყვასით დალალულს,
შენთვის მტირალნი და გეძიენ სოფლით დაფარულს!
არიან მარად მწუხარენი მწარეს გოდებით,
აგვლოვს მშობელი სამარადოდ ჭირთა მონებით,
ჰოდებს სულს შენსა გვგულერდე ცრემლთა ფონებით,
ქმარს თუ დედამთილს ანუ მცნობთა გულ შეღონებით!
თუ მიგიზიდა და მხნემ ახოვანმა მშამანვე შენმან,
არც ანასდათ მით შეგიბყრო უფიქრო სენმან,
ხაქარიამა ქობულოვმა დედის გულ მკვლელმან,
აჴვერ ცრემლსა მშობლისასა დასტანჯე მწველმან.
შენი მნახველნი ვინ ვიგრძნობდით შენს სოფლით განსვლას,
მცირედ შეუძლოდ მწოლიარეს მზის შავად დასვლას,
ტანსა მიმომრხევს მონარნარეს ზეცას მსწრაფლ აღსვლას,
ვით განიზრახავ ლამაზო ქალო ედემში წასვლას.

კნ. ანასანუმ ანდრონიკოვისა.

---

# სტატია 2.

## კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამ-დინ საქართველოში ყეენის, ქასრეს. (1)

### დიუბუას (2) მოგზაურობითგან კავკასიაში.

თარგმნილი ფრანცუზულით

კოლხიდა, დაშორებული საქართუჱლოზე შეადგენდა ერთსა ანუ რაოდენთამე მცირეთა სამეფოთა, რომელთა ჴედაროშს ანუ კოსტანტინეპოლს, შავის ზღვის მფლობელთა, ჰქონ

(1) ეს სტატია დიდად შესანიშნავია, ამისათჳს რომ ამაში არიან აღწერილნი ბევრნი პოლიტიკურნი მოქმედებანი, მომხდარნი საქართუჱლოსა და კოლხიდაში, როგორც ქრისტეს წინ აგრეთვე შემდგომაც ნამეტნავად მეხუთე-სა და მექსეს საუკუნოებში, რომელთა ჰქონდათ დიდი გავლენა ამ ქუჱყნებზე, მაგრამ ჩუჱნი ისტორია კი სრუ-ლიად არაფერს მოგვითხრობს მათზე. მთარგ.

(2) დიუბუა იყო ფრანცუზი, რომელმა მოიარა კავ-კასიის მხრეები და აღწერა ისინი კავკასია ბევრს აუწე-რიათ მის წინათაც, მაგრამ, მგონია, დიუბუას აღწერა ჰსჯობდეს ყველა აღწერილობათა. მთარგ.

ნდათ დიდი გავლენა; ხოლო საქართველოკი იყო ვიწროდ შეკრული ვითარცა გრძნეულისა ჯაჭვითა, სპარსეთთან სხუა და სხუა გარემოების გამო.

იმპერატორები (რომისა და ბიზანტიისა (1)), უეჭველია მოიხმარდნენ კოლხიდაზედ უფლებათა, თჳსთა უფრო ნამდვილად და პირდაპირ (გარნა იმათ ჰქონდათ ამის შეძლება) თუ ეს კოლხიდა არ ყოფილიყო თითქმის ქსუ და მქისე ქუეყანა, სადაც კაცი ძლივ ებრძოდა უფლად შემძლებელს ბუნებასა სიმდიდრენი, რომელთა შემოიკრებენ განათლება და ვაჭრობა, არ მიიზიდავდნენ ამ ქუეყანაში რომაელების სიხარბესა გასაკვირველია ამ ნაირი ცვლილება რომაელებში (2)

(1) დიდი თეოდოსი 1 გახდა იმპერატორი მთელის რომის იმპერიისა 395 წ. (სამას ოთხმოც და თხუთმეტს) სიკუდილის ჟამს განყო იმან რომის იმპერია ორ ნაწილად: აღმოსავლეთის და დასავლეთის იმპერიად. პირველი, რომელი იპყრობდა თჳს შორის აღმოსავლეთით (ტალიდოვასი) მდებარე ქუეყანებსა სადაც იყო ქალაქი ბიზანტია ახლანდელი კონსტანტინოპოლი) მისცა ერთს მის ძეს არკადის; ხოლო მეორე, რომელშიაც [illegible]ნეს დასავლეთის მხარეზე მდებარე ქუეყანები და სამეუფო ქალაქი, რომი, მისცა მეორეს ძეს, გონორის. პირველს სახელმწიფოს უწოდებდნენ აღმოსავლეთის, საბერძნეთის ანუ ბიზანტიის იმპერიას; მეორეს დასავლეთის რომის იმპერიას. მთარგ.

(2) რომაელები იყვნენ ფრიად დიდი ანგარების მოყვარენი. მთარგ.

იქნება მოწევნამ აზიის თემთა, რომელნი მიმართჳდნენ ევროპიისაკენ, დაამხო ვაჭრობა მძლავრის დიოკურიისა (1) ამ ქალაქის ალებ მიცემობა დაეცა, იმ ჟამიდგან რა რომ შემოვიდა პომპეი კოლხიდაში (2).

როცა დაიპყრეს რომაელებმა პანტიკაპეია (3) და ფვანაგორია (4) მაშინ გამართეს მათ პირდაპირი ვაჭრობა ჩრდილოეთის აზიასთან და აგრეთვე ინდოეთთან. მაშასადამე დასტოვეს ეს მშვენიერი და ბერძნების ზღაპრულმოთხრობითი ოქრო-მატყლოვანი კოლხიდა. და ჟურ-

(2) დიოსკურია იყო ქალაქი აფხაზეთში. მოგვითხრობენ ძველნი ისტორიკოსნი რომ აქ დასახლებულან უძველეს დროში ბერძნები, რომელთა ჰქონიათ ალებ მიცემობა კავკასიის მცხოვრებლებთან და ამათის საშუალობით სხვა აზიის ხალხებთანა. აქ მცხოვრებს ბერძნებს ჰყოლიათ. **300** (სამასი) მთენე (პერევოდჩიკი) სხვა და სხვა ხალხთათჳს, აქიდან სჩანს თუ რა მნიშვნელობა ჰქონიათ ამ ქალაქს უწინდელს დროში. მთარგ.

(2) პომპეი იყო რომის გმირი მის დროს რომაელები ებრძოდნენ პონტის ხელმწიფეს, მიტრიდატს. მაშინ გაგზავნეს პომპეი რომაელებმა იმ მეფის საომრად, რომელიც კიდევაც იძლია მისგან. მიტრიდატი იქიდან გამოქცეული შემოვიდა კოლხიდაში, სადაც შემოყვა იმას პომპეი და განდევნა აქედგანაც.

3) ახლანდელი კერჩი. მთარგ.

4) ტამანი, ჩორნორზგის ყაზახების დედა ქალაქი მდებარე პირისპირ კერჩისა. მთარგ

დებოდნენ მხოლოდ ერთსა მფლობელობის ტიტულსა კოლხიდაზე. გარნა ნამდჳლს პატრონობას ანებებდნენ მრავალთა ჰფლობელთა, რომელნი ნებისამებრ თჳსისა მმართავდნენ სამფლობელოთა თჳსთა.

რომაელები, ვითარცა მძლეველნი, ანაწილებდნენ ხშირად კოლხიდას და უნწესებდნენ იმათ მეფეებსა.

პომპეიმ მისცა 63 (სამოცდა სამს) წელში, ქრისტეს შობამდინ. კოლხიდა არისტარხს და ბოსფორი (1) მიტრიდატის ძეს, ფარნაკს (2), რომელმან, რომაელების ერთგულებისათჳს უღალატა მამა მისს. რაისათჳსცა რომაელებმა დააჯილდოეს ის ამ სახით. ფარნაკი მოკუდა 50 (ორმოცდა ათში) ქრისტეს შობამდინ. მას არავინ დარჩენია მემკჳდრე ერთი ქალის მეტი, სახელდობ დინა მისი, რომელმან შეეუღლა კასანდრს, ანუ ასანდრს 1, ერთს ბოსფორის მხედართ უხუცესს.

კასანდრი, დინი მისის მეუღლე, როცა გარდაიცვალა,

(1) ძუელად იყო ორი სახელმწიფო ბოსფორისა: ერთი ევროპაში შავის ზღვის პირზედ მდებარე, რომელსა უწოდებდნენ თრაკიის ბოსფორს, ხოლო მეორე იყო აზიაში, კავკასიის ჩრდილოთ, აზოვის ზღვის პირზედ მდებარე; ამას ჰქჳოდა აზიის, ანუ კიმერიის ბოსფორი. ამ ჩუენს სტატიაში აზიის ბოსფორზედ არის ლაპარაკი. მთარგ.

(2) ფარნაკი იყო ძე მიტრიდატ მეფისა. ეს მოისყიდეს რომაელებმა, როდესაც ებრძოდენ ამ მეფეს, და მოაკვლევინეს მამა მისი. მთარგ.

მაშინ სკრიბონიუსმა, რომელიცა იტყოდა ევპატორიის მეფის, მიტრიდატის, ძმისწულობასა, იფიქრა რომ თუ შეეუღლებოდა კასანდრის ქვრივს, ფარნაკის ასულს, დინა მისს, მიიღებდა სამეფოსა, მაგრამ რომაელები არ ადგნენ ამ აზრზედ. მარკ აგრიპპამ (1), გაგზავნილმა მასზე. მოაკვლევინა ის და დანიშნა მის მაგიერათ პოლემონი, ძე ზენონისა ლაოკიდეველისა

ამ პოლემონს, ბოსფორის მეფეს, უნდოდა რომ უმეტესად განემტკიცებია მეუფება თვისი ქორწინებისა დინა მისსთან ამან, რადგან რომის იმპერია იყო მწყალობელი მისის მეუღლისა, აუგო მეგლი კეისარს ავგისტოს. დინა მისს დიდხანს აღარ უცოცხლია შემდეგ მესამის ქორწინებისა პოლემონმა შეირთო მერე პითოდორისი. სტრაბონი (2) იტყვის ამ ქალზედ, რომ ის იყო დიდათ ბრძენი და გამოცდილი მმართველობაშიაო.

რადგან ესენი იყვნენ მფარველობას ქუეშე იმპერატორის ავგისტოს, სამფლობელო მათი განვრცელდა მალე

(1) ეს იყო წარჩინებული რომაელი და სიმამრი ავგისტოს იმპერატორის. ამან ჰქმნა ბევრი ღირსი სახსოვარი საქმეები რომის იმპერიაში. მოკუდა **12** წ. ქრ შობამდინ მთარგ.

(2) პირველი გეოგრაფი (ქუეყნების აღმწერი) ძველებულს დროში. დაიბადა **60** წ. ქრ შობამ მან მოვლო განათლებული ქუეყნები, ე ი. ეგვიპტე, კნინი აზია, სირია, ფინიკია, საბერძნეთი, მაკედონია, იტალია, ბოლოს კოლხიდა და აღწერა ისინი. მთარგ.

პონტიდგან (1) ბოსფორამდინ, კოლხნი, მკხოვრებნი ტრაპიზონტისა, ფარნაკია და სხუა ბარბაროზებიც მორჩილებდნენ მათ.

პოლემონისა და სტაბონის დროს კოლხიდა, რომელსა ძუელად ქართუელნი უწოდებდნენ ეგრისს, იპყრობდა თჳს შორის იმ ადგილებსა, რომელთა ჩაუდისთ რიონი თავის შესადინარის მდინარეებითა. ფაზისი ძუელთა გეოგრაფთა: პლინიოსისა (2), სტრაბონისა და პროკოპისა, არ იყო ის მდინარე, რომელსა ეხლანდელნი უწოდებენ ამ სახელსა. ეხლანდელნი ეძახიან ფაზისს იმ შესანიშნავს მდინარეს, რომელსა სათავე აქუს ფასმთაში (ერთი კავკასიის მთა). და ქართუელნი ასახელებენ რიონად. ძუელად რიონს უწოდდა სტრაბონი გლავკუსს, პლინიოს—სურიუმს და პროკოპი რეონს. გარნა ძუელად ფაზისს ეძახდნენ ყვირილას, რომელი გამოსდის კავკასიის მთას და მოერთვის რიონს.

ზემო მხარე ფაზისა (ყვირილასი), ეხლანდელი საჩხერე, იყო ნაწილი მესხეთისა, ანუ მხარე მესხთა, სადაც მდებარობდა სრულიად ის მკლავი მთისა, რომელი ჩამოდის კავკასიით და მიადგება კლარჯეთის მთებსა (ახალციხის მთებს). ამ მთის მკლავს ეძახდნენ გადოს, ანუ

(1) პონტი იყო დიდი სახელმწიფო მდებარე შავის ზღჳს ნაპირზე. სამზღვრები მისი იყვნენ: ჩრდილოთ შავი ზღვა: სამხრეთით კაპადოკია, დასავლით პაფლაღონია და აღმოსავლეთით კოლხიდა. მთარგ.

(2) ერთი ძუელი რომაელთა მწერალთაგანი. მთარგ.

ლიხის მთას და გაყოფდა იბერიას (საქართჳელოს) და კოლხიდას

მესხეთი, მდებარეობისა მებრ თჳსისა, განიყოფებოდა სამ ნაწილად. ერთი მათგანი ეკუთვნოდა იბერიას, მეორე სომხეთს და მესამე კოლხიდას მესხნი ყოფილან ფრიად კარგნი მოხელენი და გამოცდილნი მიწის მუშაკნი; ნამეტნავად ღვინის მოწევნი ჩჳენს დროშიაც, ის ადგილები სადაც მესხნი ჰსცხოვრებდნენ, ახლად არიან განთქოქმულ ღჳნის მოსავლითა.

გზა კოლხიდიდან იბერიაში (საქართჳელოში,) იყო მესხეთზე ახლა თითქმის აღარ იციან თუ რომელს გზაზედ დადიოდნენ მაშინ. მაშინ ყჳრილაში შემოდიოდნენ დიდი კატარღები ხოლო პატარა ნავები ადიოდნენ შორაპნის ციხემდის, რომელი იდგა ყჳრილასა და ძირულას შესართავში .

აქედან გზა აყობოდა ჩქარის ფაზისის (ყვირილას) ნაპირს საჩხერემდის აქამდის ამ მდინარეს გაღმა გამოღმით აქჳს მაღალი გბოდეები, რომელნიც ისე არიან მიჭრილნი წყალზედ რომ არ უშვებჳნ ადგილს ცალს ნაპირზედ გზისათჳს, ამისათჳს ოციოდე ხიდები იდგნენ ამ მდინარეზედ ძჳელს დროებში და ახლა როდესაც ისინი აღარ არიან, მგზავრმა ოცჯერ უნდა გავიდიგამოვიდეს ფონათ ფაზისში. საჩხერითგან საქართჳელომდის გზა იყო ფრიად საძნელო, ამისათჳს რომ მდებარება ადგილისა არის ტყიან მთიანი.

შორაპანს გარდა კოლხიდას ჰქონდა კიდევ სხჳა ციხეებიც პირველ სკანდა, რომელსა ჰქონდა შეკრული

შემოსავალი გზა იბერიიდან კოლხიდაში; მეორე ქუთაი-სიუმ, იდგა იქ სადაც ახლა ქუთაისი ქალაქია მესამე პირის პირ ამ ხსენებულის ციხისა რიონს გაღმა; ამას უწოდე-ბდნენ უხიმერიონს (ახლანდელი ქუთაისის ციხე);მეოთხე ვარციხე (ძუელად როდოპოლის). ეს ციხე მიაჩნდა კო-ლხიდელთა უწარჩინებულესად ყველა ციხეებზე; მდება-რებს მარცხნივ ყვირილისა, ცოტა ამ მდინარისა და რი-ონის შესართავს ზევით, მეხუთე ცხენის წყლისა და ტე-ხურის შუა, ძუელად წოდებული—ვად, ახლა ნაქალაქევი, რომელსა ედგა მაგარი ბურჯები გაკეზედ და სერის წვე-რზედა; მეექუსე შავის ზღვის პირზე, რიონის შესადი-რში. ფაზისი, რომელსა კოლხიდელნი უწოდებდნენ ემპორი-უმს და მეშჳდე.ესაგლე,იდგა ენგურის ზღჳს შესართავში.

როდესაც რომაელებმა მისცეს პოლემონს კოლხიდისა და სხჳა ქუეყნების ნაწილები, იმათ დაიჭირეს რაოდე-ნიმე ციხეები, მდებარენი შავის ზღვის პირზე, რომელ-შიაც ჰყავდათ ღარნიზონები; (მეციხოვანები) ესენი იყვნენ; ფაზისი, ჰერაკლე, დიოსკურია, ფითიუსი და სხჳანი.

კოლხიდელთა ანუ ეგრისის მცხოვრებთა ჰყავდათ მე-ზობლები: ჩრდილოთ ხოფის წყლისა და ტეხუ-რის ზემო ხეობაებში—მისიმიანელნი; ენგუ-რის ხეობაში სუანნი; ენგურს გაღმა ზღჳს პირზე აფხი-ლნი; ზემო ნაწილებთა რიონისა და ცხენის წლის ხეო-ბათა უწოდებდნენ სქიმნისს (ახლანდელი ლეჩხუმი) და-ზები, რომელნი განიყოფებოდნენ სხჳა და სხჳა ტომად ცხოვრებდენ კოლხიდის სამხრეთით ზღვის პირზედ და-ყოლებით: ესენი იყვნენ: ჭანები, ზუდრეთები, მახელნნი

და სხჳანი ეს ჩემგან მოხსენებულნი ერნი იყვნენ შთამომავლობით ქართჳელნი. იმ ქართჳელების შთამომავალთა, რომელნი ჰსცხოვრებდნენ ენგურს ქვეით შავის ზღჳს პირზე, უწოდებდნენ საზოგადოდ ლაზებსა; მაგრამ სახელი—კოლხიდელნი, რომელსა ხმარობდნენ ბერძნები და რომაელები, არსად არ არის მოხსენებული საქართჳელოს ისტორიაში.

მისსიმლიანებს, აპისლეს, სუანებს და სქიმნიანებს ჰყვავდათ თავიანთი მთავრები, რომელნიცა მორჩილებდნენ კოლხიდის მეფესა.

ამ მდგომარეობაში იყო კოლხიდა, როცა ფლობდა იმას პოლემონ პირველი. თუმცა ამ მეფეს ჰქონდა ვრცელი სამფლობელო, მაგრამ მოინდომა მაინც დამორჩილება ზოგი ერთისა მეზობლებისა, მცხოვრებთა აზიის ბოსფორისა. იმას უნდოდა მითვისება რაოდენიმე საპუგენელების ადგილების მანქანობის სახით. ეს ხალხი ჰსცხოვრებდა ბოსფორის სამხრეთით კავკასიით ჩამოსულს ქედზედ. ასპუგენელებმა ჰსცნეს რა პოლემონის განზრახვა, თჳთანვე დაესხნენ მას თავს მოულოდნელად და მოჰკლეს ის. ამ ნაირად შეჰსწირა თავი თჳსი პოლემონ 1-მა დიდების მოყვარებას.

პიტოდრისს 1 ხჳდა პონტი და კოლხიდა, ხომელთა მმართავდა გონიერად თჳსის მის შემწეობით. როლო მეორე მეორე ძე მისი ხელმწიფობდა სომხეთში.

მის შემდეგ გამეფდა ძე მისი, პოლემონ 2, 38 (ოცდა თვრამეტს) წლის ნება დართულობითა კალიგულას იმპერატორისა, რომელმა მისცა მას ბოსფორიცა. მაგრამ სამის წლის შემდეგ 41 (ორმოც და პირველს) წ.

იმპერატორმა კლავდიამ გაგზავნა ის კილიკიაში, ხოლო კოლხიდა და პონტი მისცა სხჳას.

საქართველოს ისტორია ამტკიცებს, რომ ამ დროს მოსულან აფხაზეთში და ეგრისში, ანუ კოლხიდაში, მოციქულნი ანდრია პირველ წოდებული და სჳმონ ქანანელი. სჳმონ ქანანელი მიიცვალა ფსანკოფიაში, სადაც არის დასაფლავებული. წმიდა ანდრიას ქადაგება ისმინეს მეგრელებმა და კიდეც მოიქცნენ, მაგრამ მეფემან მათმან განრისხდა რა ამაზე, გააძევნინა ეს მოციქული და იძულებით დაატოვებინა ხალხს ეს ახალი სარწმუნოება. ესე ვითარი არის ლეგენდა

მინამ რომის იმპერიას ჰქონდა რაოდენიმე შეძლება და ძალა, იმპერატორნი, სურვილისამებრ მათისა, უნწესებდნენ სამაკდობელთა ამათ მეფეებსა. იმპერატორის ადრიანეს დროს ტრაპიზონტიდგან დიოსკურამდინ ირაცხებოდა ხუთნმდინ სხჳა და სხჳა სამეფოები, რომელნი იყვნენ სრულს განკარგულებაში იმპერატორისა. კოლხიდას აქ ერქმევა პირველად, სახელი ლაზიკა.

იმპერატორის მარციანის დრომდინ ისტორია არარასმე გვაუწყებს ამ პატარა სახელმწიფოებზე. მე ვერ შევიწყნარებ მოთხრობათა საქართველოს ისტორიისა, რომელნიცა არიან დაწერილნი უკრიტიკოთ ყოველივე, რაც შეეხება ამ ეპოხას. ამისათჳს რომ ერთხელ კოლხიდა, მართალია კუთვნია საქართველოს, და მის ისტორიის მწერლებს ვერ უფიქრნიათ, რომ ყოფილა ოდესმე დრო, როცა ეს სახელმწიფო სხჳა ნაირად იყო, და ყოველთჳს იმას რაცხვენ საქართველოს ნაწილად, თუმცა

თანა მედროვენი მწერალნი ცხადათ ამტყუვნებენ ამათ ამაში

**456** (ოთხას ორმოცდა თექვსმეტში) იმპერატორის მარციანის ჟამს, გუბაზემ, რომელიც მეფობდა მაშინ კოლხიდაში, მისცა ნაწილი თჳსის სამეფოჲსა ძესა თჳსსა, რომელზედაც არ დაკითხვია რომის იმპერატორებს. ამ უმაწჳლემა მეფემ მოინდომა მოპოვება სახელისა ამისათჳს განიზრახა დაპყრობა ზოგიერთის რომაელების ადგილებისა, ერთმა რომის ჯარმა მომართა მის დასასჯელად. გობაძე შეშინდა დიდად და ველარაფერი ღონე იპოვა ამის მეტი: ჰსთხოვა შემწეობა სპარსეთის ყეენს იეზდიგერს. მაგრამ ამან უარი შეუთვალა. ამისათჳს რომ ამ ჟამს ებრძოდა ის ჰეფთალიის ჰუნებსა (1) და არ იყო მოცლილი იმპერატორის მარციანის ჯარი ემუ-

(1) ჰუნნი იყვნენ შთამომავლობითი მოგონილები ძველად ეს ხალხი, გამოსული შუა აზიიდგან, დასახლებულა ვოლგისა, და ურალის მდინარეების ნაპირებზედ. შემდეგ დაიძრნენ ამ ადგილებიდგან და აუარებელის რიცხვითა შეესივნენ რომის იმპერიასა რომელსა საშინლად აოხრებდნენ და იკლებდნენ; მაგრამ ბოლოს იძლიეს ამათგან და განიფანტნენ სხჳა და სხჳა მხარეზე. უმეტესი ნაწილი იმათი მოვიდა და დაესახლა ახლანდელს რუსეთის სამხრეთის ადგილებზედ; მაშასადამე კავკასიის მთებს გარდალმა აქედგან გარდმოდიოდნენ მთებზე და აოწიოკებდნენ სპარსეთს და რომაელების სამფლობელოს აზიაში.

მთარგ.

ქრებოდა შემოსვლას კოლხიდაში ჯავახეთით; გობაძეს უნდა მიეცა ანგარიში თუ რისთვს გაუშვა მან სამეფო-თვსი და კიდევ უნდა შესულიყო არჩევანში, რომ ან თვითანვე მიეღო პირვანდელად სამეფო და ან სრულიად დაენებებინა თავის შვილისათვს. იმან ამოირჩია პირველი ეს საქმე გვიმტკიცებს რომ უფლება რომაელებისა კოლ-ხიდაზედ იყო პირვანდელივე. შემდეგ ამისა გობაძე წა-ვიდა კონსტანტინოპოლში ბოდიშის მოსახდელად იმპე-რატორის წინაშე და ამასთანავე ჰსთხოვა შემწეობა სუ-ანზედ

მაგრამ მორჩილება კოლხიდისა, რომელი იწოდა ლა-ზიკად. იყო მხოლოდ სახელი და არა სახრავი რომაე-ლებთათვს. ამისთვს რომ მფლობელნი კოლხიდისა არ აძლევდნენ რომის იმპერატორებს არა ვითარს ხარკსა. იმათი დამოკიდებულობა იმპერატორებზედ იყო მხოლოდ ის, რომ ესენი კოლხიდის მეფეებს ტახტზე ასვლის დროს გამოუგზავნიდნენ ღრამოტასა და მეფის შესა-მოსელთა. ამის ნაცვლად კოლხიდის მეფეებს უნდა დაე-ცვათ კავკასიის გზები, რომლითა ჩამოდიოდნენ ჰუნები და აოხრებდნენ რომის სამფლობელოს აზიაში, დარიელა ციხე თერგის მდინარის ნაპირზე, და დარუბანდი, რომ-ლებიცა ეჭირათ სპარსებს აღმოსავლეთის მხრით იცა-ვდნენ კავკასს მტერთაგან. მაგრამ დასავლეთის კერძოს კავკასიის მთისა იყვნენ სხვა გზებიცა; რომელნი არიან ერთი რაჭაზე და მეორე სუანეთზე თუმცა ესენი გაიხ-სნებიან თოვლისაგან ცოტაოდენს ხანს და არიან ძნელად სავალნი, ხმარებად ჯარისათვს მაგრამ ლაზები მაინც იცა-

ვდნენ მათ ყოვლის შემთხვევისათჳს.

იყო კიდევ ერთი გზა უმჯობესი ზემოხსენებულს გზებზე ზღვის პირზე, ე ი წებელდაზე, მაგრამ ეს ჰქონდა შეკრული დიოსკურიას.

თუმცა ლაზები ძლიერ გაფრთხილებულნი იყვნენ როგორც ჭუნებზე, აგრეთვე სხჳა ბარბაროსებზედაც. მაგრამ ესენი მაინც ჩამოდიოდნენ ხოლმე მთებიდამ ლაზიკაში, **282** (ორას ოთხმოც და ორს) წ. ქრ. აქეთ იმპერატორის დიოკლიტიანის დროს როსკუპორისის ძემ, სორომატ V, ბოსფორის მეფემ, შეკრიბა დიდი სპა სარომატთა (ოსთა და სხჳსათა), გარდმოკლო კავკასიის მთები, დაესხა ლაზიკას და აიღო; შერმე აქედან მივიდა მდინარე ალისამდინ. იმპერატორი კოსტანტინე ხლორი იყიდდა მისგან მშჳდობასა ოქროს საფასითა, თუ ერთს გარემოებას არ დაეხსნა ის ამ გაჭირვებისაგან. ხერსონესის (1) მცხოვრებელთა, ჰსცნეს რა ქმე ვითარი შეიწროება იმპერიისა, დაესხნენ ერთბაშად პანტიკაპეიას, სადაც არ იყო მაშინ არც მეფე და არც ჯარი, და დაიპყრეს ეს ქალაქი. მერე შეუთვალეს სორომატს: თუ გნებავს რომ შენი სატახტო ქალაქი დარჩეს ხელუხლები გამობრუნდი მანდიდან, განუტევე ტყვენი და დასტოვე დავლათ. რაღა გაეწყობოდა, სორომატი V დამორჩილდა ამ სასტიკ თხოვნას: დასტოვა მისგან დაპყრობილი ადგილები, ნარცვი ტყვეები და უკანვე გარდაკლო მთები

(1) ძუელი ხერსონები იყო ყირიმში (კრიმში) სებასტოპოლის მახლობლად მთარე

შეიწროებულის გულითა ამავე გზებითა, რომლითა შემოვიდა კოლხიდაში.

მეხუთე საუკუნეში კიდევ გარდმოვლეს ონოგრისის ჰუნებმა, მაგრამ ლაზები ისე მხნედ დახვდნენ რომ მათ ცხენის წყლის პირზე. სადაც ეს მდინარე სტოვებს მთებსა და გამოდის ვაკეზე, რომ მხოლოდ ისინი გადარჩნენ მათგან, რომელთაც შეასწრეს მთებში ამ დროს ბევრნი დასავლეთაგანი იყვნენ ქრისტიანენი. ამისათვის დააფუძნეს ეკკლესია იმ ადგილზე, სადაც მოხდა ომი, წმიდა ექვთიმეს სახელზედ და სოფელიც,სახელდობ ონოგურისი, სახსოვრად ამ გამარჯვებისა, დღეს ეს სოფელი იწოდება ხონად. რომლისა ეკკლესია არის ერთი უძველესთა შენობათაგანი კავკასიის არხიტექტურასა.

ი. მოსიძე.

(განგრძელება შემდგომ ნომერში იქნება)

---

# მოსავალი.

## I

ერთს სახლში დატოვებულს შეზდის ქალაქისას საკმაოდ დიდ ოთახში რომელშიც იდგა ძველი კაკლის რგვალი სტოლი და რამდენიმე აგრეთვე დანჯღრეულ სკამები, წყნარად დადიოდა ერთი კუთხიდგან მეორე კუთხემდის ოცდა თხუთმეტ წლამდის კაცი იმას ეცვა: ყომრალი დიმიკიტონის ახალუხი, გაქონილი და ალაგ-ალაგ გაცვეთილი მეტადრე გულთანა და ნიდაყვის თავებთან, განიერი შარვალი აგრეთვე ძველი, და ფოსტლები რომლითაც აფრატუნებდა რადგანაც ქუსლის ადგილი აღარა ჰქონდა ნაყვავილარს გასიებულს სახეს მისას პატარა ყომრალის თვალებით, არაფერი არ იყო გამოხატული ჰქონდა გრძელი ქერა ულვაშები და ძალიან მოკლედ გარეჭილი თმები. ის ხან შედგებოდა ფანჯარასთან და აბარახუნებდა თითებით, ან დააცქერდებოდა პატარა სამო-

კარს რომელიც იდგა სტოლზედ და შიშინებდა ხან სტაქანს რომელშიაც ცივდებოდ ჩაი ხან ტუჩ მოტეხილს ჩაინიკს, ხან გაქონილს სათამაშო ქაღალდს, თავის ჩოტკას, პომადის ბანკასა, სამართებელსა და სხვას სახლის მოწყობილებას,რომელნიც ეწყო იქვე თვალწინ;ხანდის ხან კი არ შედგებოდა სწევდა ჩიბუხსა,ხან მიიხედამდა კრაოტის მსგავსისაკენ რომელიც იყო გამაგრებული ორის დამტვრეულის სკამით და ერთის კეტით.

კრაოტზედ ყომრალ აფიცრის შინელს ქვეშ იწვა ზურგზედ მეორე კაცი, თავი გადაკარდნოდა ბალიშიდგან ერთი ხელი გადმოკიდებული ჰქონდა ძირს, პირი დაეღო თითქო ღიმილი მოსდიოდა ეშინა ტკბილის ძილის მილით, რამდენჯერმე გამოელვებოდა ხოლმე თვალებს და ახამხამებდა და ისევ ხელ ახლად დაიძინებდა.

ახალუხიანმა კაცმა დაცალა ჩიბუხი თუნუქის კოლოფში (რომელშიაც ინახვენ ხოლმე სარდინკას) მუჭით ამოიღო თამბაქო ეპოლეტების კოლოფიდგან, გატენა ჩიბუხი, მოუკიდა ხელახლად და დაიწყო ისევ სიარული წინ და უკან.

—ივან სემენიჩ, ივან სემენიჩ?) ბოლოს დაუძახა შემდგარმა ამხანაგის კრაოტის წინ.

მეორემ თვალები გაახილა.

—დროა ადგომისა, მეთორმეტე საათია, ჩაი მოიხარშა, სამოვარი გაცივდა გელოდებით ეუბნებოდა პირველი; მაგრამ რაკი შენიშნა რომ ამხანაგმა ხელახლად დახუჭა თჳალები, მაღლის ხმით დაუძახა ივან სემენოიჩ?

—ის შეკრთა და წამოიწია თავი.

—ახ? ხმა წასულმა სთქვა.

—თუ ღმერთი გწამს ადექი, გეყოფა მაგდენი წოლვა, როგორ არა გრცხვენიან უთხრა ახალუხიანმა კაცმა მოხწია ჩიბუხი და დაიწყო ისე სიარული.

ამხანაგი წამოდგა და დაჯდა ისევ კრავატზედ, დიდხანს იჯდა ისე და სთვლემდა, ბოლოს გამოფხიზლდა, ბალიშის ქვემოდგან გამოაძრო წინდები და დაიწყო ჩაცმა, შემდეგ ჩამოჰკიდა ფეხები ძირს და ჩაიცო ძველი ჩექმები, მოუკიდა პაპიროზის ნამწვსა, იჯდა იფიქრა, ადგა წამოისხა შინელი, რომელიც იყო საბანიც და ხალათიც და დაიყვირა: ლიხაჩოვ!

—კედლის უკან ვიღამაც მაღლა მოიხოცა ცხვირი და ხუთ მინუტს უკან შემოვიდა ლიხაჩოვი, უშნოზავსი უსიამოვნო სახისა ასე რომ ჰგამდა გაუწმენდელს სამოვარსა, ჯაგრის მსგავს ულვაშებიანი, რომელსაც ეცვა რაღაც კურტკა, და ლურჯი ტილოს წითელის განტით შარვალი, ჩექმებში ჩაკეცილი.

—აბა! . . რას იყურები აგრე შენ ჯღარხო შენ, ხელახლათ დაუყვირა შინლიანმა კაცმა და ხან გრძლივ დამთქნარა.

—ლიხაჩოვმა მოიტანა რაღაც ჯამი და ჩაფით წყალი! . .

—ივან სმენოიჩმა დაიწყო პირის ბანა.

—ივან სემენოვიჩ ბუბნიკოვი და ამხანაგი იმისი ანდრეი პეტროვიჩი კოტიკოვი სრულიად არა გვანდნენ ერთმანერთისა. ორივენი იყვნენ აფიცრები იმავე პოლკისა, ორნივენი იყვნენ პორუჩიკები იდგნენ ერთათ ორი-

ცხოვრობდნენ მეგობრათ. თუმცა კი რამდენჯერმე მოზდიოდათ დღეში ლაპარაკი და ისევ რიგდებოდნენ. ერთობრივი არა ჰქონდათ რა გარდა ნივთიერის შეძლებისა: როგორც ერთს ისე მეორეს, გარდა წინდაწინვე აღებულ ჯამაგირისა. ორი ან სამი სერთუკისა, ერთი წყვილი ჩექმისა, სამართებელისა, და ნახევარ დუჟინი პერანგისა არა ჰქონდათ რა. მაგრამ ამაშიაც ანდრეი პეტროვიჩმა აჯობა თავის მეგობარსა. ამასა ჰქონდა საშინაო ტანისამოსი, ახალუხი, ყვითელის შარვლითა, ფოსტლები, გრძელი ბალის ჩიბუხი და ძალიან კარგი პორტ-სიგარი (ესე იგი პაპიროზის ჩასაწყობი) რომელზედაც იყო გამოხატული ტიტველა ქალი, ივან სიმონიჩს კი არაფერი არა ჰქონდა, დროების გვალად, ხან დადიოდა შინელით ხან უიმისოთ, ჩიბუხი არა ჰქონდა და არცა სწევდა და ამჯობინებდა იმას ძალიან მაგარ პაპიროზებს თავის გაკეთებულს. ანდრეი პეტროვიჩი როდისღაც სწავლობდა გუბერნიის ქალაქის გიმნაზიაში დაბალ კლასებში, მაგრამ ჯარში სამსახურის სურვილით და უგულისობისა გამო ლათინურ ენაზედ, შევიდა პოლკში იუნკრად, შემდეგ განვლის დანიშნულ დროისა მიიღო აფიცრობა, ივან სემენოვიჩი სწავლობდა სატახტო ქალაქში, კადეტსკის კორპუსში. კროტიკოვმა არაფერი არ იცოდა, არას დროს არ კითხულობდა, არც ერთს საზოგადოებაში არა ყოფილა, გარდა უცოლშვილო თავის ამხანაგებისა: რაპორტის ან ბარათის დაწერა იყო მისთვის ძალიან ძნელი საქმე. ბუბნიკოვმა იცოდა ზეპირათ რამდენიმე ლექსები ჟუკოვსკისა, პუშკინისა, კარგათ კითხულობდა რომანებს,

საზოგადოებაში კი გამოსული იყო ამხანაგები ეძახდნენ გულის მიმზიდველო. ანდრეი პეტროვიჩი გრძნობდა თავის უცოდინარობას და არცა სცხვენოდა და ხანდისხან ხარობდა იმით ივან სემიონიჩს უყვარდა მოსწრობილი სიტყვა სწავლაზედ თავის ქება და ლაპარაკი ანდრეი პეტროვიჩი უფრო ჩუმათ იყო, უნდომლათ ლაპარაკობდა, ასე რომ თითქო ძალათ ათქმევინებდნენ სიტყვას. ივან სემიონიჩი ბევრჯერ ჩქარად და დაუღალავად ლაპარაკობდა და ხანგრძლივ, ასე რომ თითქო ბარაბანს აბრახუნებდნენ კრიტიკოვი უყურებდა სუყველაფერს დაუფიქრებელად, ბუბნიკოვს კი უყვარდა ფილოსოფიური მინჯუსაგნის. ანდრეი პეტროვიჩი იცვამდა უბრალოთ, სერთუკს ატარებდა მოკლე მაუდისას და წვრილი ქოლგუტებს, ფარნატები ეცვა ულვაშთან ჭუჭყიანი თითებში დახვრული. ბუბნიკოვს უყვარდა კეკლუცათ მორთულობინა თავისი თავი, გამოაჩენდა მსხვილი მრინჯაოს ცეპოჩკას, თეთრზედ მიიფარებდა მინას, წაისომდა პომადას, დაისხამდა დუხსა წმინდა ბატისტის ხელცახოცს გაბერტყამდა ხალხში და ისე ცხვირს მოიხოცამდა, თითრის ფარნატკით ხელებს წინ წამოიღებდა. ჭუჭყიანითკი ცდილობდა რომ არ შაენიშნიათ ანდრეი პეტროვიჩი ძალიან მირში იკრეჭავდა თავს ასე რომ თითქო პატარა სალამური ქუდი ხურამსო, ივან სემიონიჩიკი სრულიად არ უყურებდა საკუთარს თავის უფროსებისაგან ატარებდა დიდს თმას და ხანდისხანაც დაიხვევდა, კრიტიკოვი იყო, სრულიად ბოგანო, ნათესაობა არავინა ჰყვანდა. ბუბნიკოვს კი ჰყვანდა დედა პეტერბურგში, რომელთანაც, თუმცაკი

ძვირათ მაგრამ ჰქონდა მიწერ მოწერა. ანდრეი პეტროვიჩს უყვარდა სუყველაფერი რიგიანათ, დანიშნულ დროს: დგებოდა, სადილს სჭამდა, ჩაის სვამდა სულ თავის დროს. ივან სემიონიჩს კი ვერას დროს ვერ გააღვიძებდნენ, საკვირველი თვისება ჰქონდა ძილისა შეეძლო რა დროსაც უნდოდა დაეძინა და რამდენიც უნდოდა. უწინ როდესაც იდგა ცაიგე, და საჭიროდ ექნებოდა რომ ადრე ადგეს საღამოზედვე დასტუქსავდა ბიჭსა ადრე გამაღვიძეო, და თუ ვინიცობა არის არ გამეღვიძოსო, კრაოტიდგან გადმომათრიეო, მაგრამ რაკი მოვიდოდა დილა ყოველი ღონისძიება დენშიკისა რომ გაეღვიძებინა ბატონი იყო ამაო; ბატონი ხან უჯავრდებოდა, ხან ემუქრებოდა რომ ცხვირში დაგამტვრევო, ან ეხვეწებოდა პატარახანს დამაცადეო ჯერ დრო არ არისო, საათი წინ მირბისო და რომ დაუგვიანდებოდა შემდეგი ეუბნებოდა მე შენ გიბძანე ფეხებით გადმოგეთრიე, გიბძანე თუ არა? ამ რიგათ ეუბნებოდა

—თქვენო კეთილშობილებავ; როგორ გამეღვიძებინეთ ან კრაოტიდგან გადმომეთრიეთ როდესაც წიხლებს ისვრით ეუბნებოდა დენშიკი.

—რა არის რომ წიხლებს ვისვრი, მაგრა წამავლე ხელი ფეხებზედ და ვეღარ გავისვრი. შენ სულელი ხარ ა, შენი გულისათვის უნდა საყვედური მივიღო! ამბობდა ივან სემენიჩი.

კროტიკოვი იყო კარგი აღმასრულებელი თანამდებობისა, სუ ყოველ ბძანებას თავის ნაჩალნიკისას მიიღებდა წმინდათ და დაურღვეველად.

ბუბნიკოვი ემსახურებოდა რიგიანად, ჰოლკში უწოდე-ბდნენ თავის უფლად. ანდრეი პეტროვიჩი წყნარა და მშვიდობიანათ სცხოვრობდა, არავისი არ ემართა რა, მა-გარ სასმელებში ხმარობდა მხოლოდ არაყსა.

ივან სემენოვიჩს უყვარდა ნისიათ და სხვის ხარჯზედ ცხოვრება; სუყველაფერი რაცკი მოხვდებოდა, სვამდა და სჭამდა, შემთხვევაში უყვარდა დასანახვებლად გაეხსნა ბო-თილკა შამპანსკისა. ანდრე პეტროვიჩი სიამოვნებით სჭამდა ლიხაჩოვისაგან მომზადებულ საჭმელსა.

ივან სემონიჩიცკი არას აგდებდა მაგრამ სულ ემა-ყოფილი იყო, და იგონებდა იმ საჭმელებს რომელსაც სხვაგანა სჭამდა და შინკი არა ჰქონდა.

თუმცა ეს გარჩევა ჰქონდათ ჩუეულებაში, და ხასია-იში, თუმცა ბუბნიკოვს უყვარდა დაცინვა თავის ამხანა-გისა ხუმრობით, თვალ უკანკი ემახდა მას ბრიყვს, მაგ-რამ იყვნენ ერთი ერთმანერთისათვის შეწირულნი და გა-ნშორება ერთი ერთმანერთისა არ შაეძლოთ და არც ფიქრობდნენ.

ანდრეი პეტროვიჩს თუ არ უყვარდა, სთვლიდა თავის თავზედ მომატებულს და ამის გამოისობით ეტრფოდა ისე როგორც კარგი გამდელი გარყვნილ ყმაწვილსა, მხო-ლოდ როდესაც დაინახამდა ურიგოთ ქცევას იმის გაუ-ცემლათ ბუტბუტებდა. ივან სემონიჩი იდგა სახლში როგორც ბატონი, ლიხაჩოვსაც უჯავრდებოდა ისე რო-გორც ბატონი, ანდრეი პეტროვიჩიკი ისე იყო როგო-რც იმისი ყურის მგდებელი, რომ სუყველა სურვილი აუსრულდეს. ასე რომ ივან სემენიჩი სუბიერობდა კარატ-

ზედ, ეზარებოდა კრაოტიდგან ადგომა, ხელის განძრევა, ანდრეი პეტროვიჩი მიუტანდა სპიჩკასა, პაპიროზსა, ბიჭის დაძახება რომ მოუნდებოდა, ანდრეი პეტროვიჩი წავიდოდა დასაძახებლად; ერთი სიტყვით კროტიკოვს უყვარდა ბუბნიკოვი, თუმცა იმისგან სამაგიეროს არ ელოდა, ის სწუხდა ყოველ ცუდ გზაზედ ივან სემენიჩისას, როდესაც დაიგვიანებდა სადმე სადილს უგემურად სჭამდა, მხიარულობდა როდესაც იმას დაინახამდა მხიარულად და როდესაც ლაპარაკი მოუვიდოდა». პირველი ცდილობდა ისევ შერიგებასა ივან სემენიჩი კი ამას არაფერს არა გრძნობდა; ის იდგა კროტიკოვთან თითქო თავის დგომით და იქ ყოფნით აძლევს პატივსა. სადილ-ვახშმის ფულსაც როგორცნათ არ აძლევდა მაგრამ ანდრეი პეტროვიჩი ამასაც ითმენდა, თითქო ასე უნდა იყოსო, და ამხანაგი სარგებლობს განსაკუთრებით წყალობს

ლიხაჩოვსკი სრულებით არ უყვარდა ბუბნიკოვი, როდესაც გამოვიდოდა მოთმინებიდგან ბატონის დანძლევისაგან, იჩივლებდა ანდრეი პეტროვიჩთან — შენ სულელო, უნდა მოითმინო; ივან სემიონიჩმა რომ გაიგონოს ცხვირპირს დაგამტვრევს, ეტყოდა ივან პეტროვიჩი.

რამდენსამე წუთს შემდეგ ივან სემიონიჩმა დაიბანა პირი, გამოავლო სტაქანი და პოლზედ გადაღვარა შემდეგ დაისხა სრულიად გაციებული ჩაი ლიმონი მოსდიოდა სახეზედ, ქეიფში იყო და ეტყობოდა რაღაც უნდა ეთქო, მაგრამ კი ფიქრობდა როგორ დაეწყო ლაპარაკი ანდრეი პეტროვიჩი დაშვიდდა და ჩუმათ გაეცინა, გატენა მესამედ ჩიბუხი და შედგა შუა ოთახში.

—ჩაი გაცივდა, სამოვარს უნდა ცეცხლი მოუმატონ

—რა საჭიროა ჩაი, უპასუხა ზუზნიკოვმა, საჩქაროთ დალია ჩაი, და გადადგა სტაქანი გვერდზე.

—უკეთესია თქვენ მკითხოთ სად ვიყავ მე წუხელის აი რა მკითხეთ?

—სად იყავ? . გენერალთან განა!

—აი რა უყუოთ გენერალთან! . თქვენ გგონიათ გენერალზედ უკეთესი კაცი არ იყოს? სწორეთ მოვიმდაბლებ მე თავსა და მივალ ის დრო არ არის.

— გენერალს თქვენ უყვარხართ, მაგალითად მოყვეხარ თქვენ იმისთანა კაცი ხართ, თქვენ გიხდებათ გენერალთან ყოფნა! უთხრა კროტიკოვმა

—ივან სემენიჩმა დიდგულად გაიქნია თავი

—კოლოგრივოვთან ხომ იყავი?

—არა, არც კოლოგრივოვთან!

—მაშ ღმერთმა იცის! სთქვა ანდრეი პეტროვიჩმა და დაიწყო ისევ სიარული,

—მე იქ ვიყავ სადაც იქნება სუყველა არცკი შეუშონ . სამოთხე მადომენტისაა! . აი სად ვიყავი! სთქვა ივან სემენიჩმა.

კროტიკოვი შედგა

ზუზნიკოვი გაშტერებით უყურებდა

— მე ვიყავი . მე რასჯულიავისას ვიყავი: სიმღერით სთქვა

—არ ვიცი! უპასუხა ანდრეი პეტროვიჩმა და თავი გაიქნია

—ივან სემენიჩმა გაიცინა

—ვიცი რომ არ იცით, სად გეცოდინებოდათ, არავინ არ იცის, ის ხალხი იმისთანანი არიან .. პირველი, მოხუცებული დედა მამულის მეპატრონეა, სამასი სული ჰყავს! ასე ამბობს, რომ გლეხებზედ უკეთესნი არავინ არ არიან, გუსარებზედ უცრემლოთ ვერ შეუძლიან ილაპარაკოს : გესმით თქუენ გრძნობით! . მეორეც ეს რომ იმასა ჰყავს ქალი სახელად სოფიო, მამულის მემკვიდრეა! ძლიერ მოიბრუნა სული და ღრმათ ამოიოხრა. იმისთანა ქალის, რომ ახლო მისვლა არ შეიძლება, სიკუდილი საკბენრად იწყევს, სიმშუენიერე ავწერალის!...

კროტკიკოვს მოუგვიდა ღიმილი ტუჩებისა, უნდა ეთქჳა რამ მაგრამ ივან სემიონიჩმა გააწყვეტინა.

—ცხჳრი! განაგრძელა იმან, შეგულიანებული იქნევდა ხელებს: გესმის თუ არა, ცხჳრი,—თითქო უბრალოდ, იმისთანა რამ არის, რომ არ ვიცი რას დავადარო . ტუჩები ალისფერი სუქანი; მშუენიერი, თვალები იცინიან . თქუენ გინახავთ როდისმე რომ თვალები იცინოდნენ, ა?.. გინახავსთ?

—არა არ მინახავს არ შემხვედრია! უპასუხა ანდრეი პეტროვიჩმა.

—აბა, ისინი იცინიან, ხარხარებენ, დახტიან . გული, ყელი, ტანი, საცმელი და სხუა სულ საქებია! .

ანდრეი პეტროვიჩი ჩუმათ იყო და ჩიბუხსა სწევდა. სცხოვრობენ უწინდელითვე, ამბობდა ივან სემიონიჩი და კი ვერა გრძნობდა რომ მხრიდგან გადუვარდა შინელი და გამოუჩნდა ჭუჭყიანა პერანგი; შეხვალთ შესავალში' იქ არაფერი ტოტა ბნელა . შემდეგ გოსტინა, რომელიც

არის თალხი აზოით გაკრული, პოლზედ შლის ხალიჩა, რომელზედაც არის სწორეთ ცოცხლის მსგავსი ძაღლი დახატული. ძალზედ ყვავილები, მებილი თქვენ პეტერბურგის ან ტრაკტირში ყოფილხართ? უეცრად დაუმატა.

—მე პეტერბურგში არას დროს არა არა ვყოფილვარ უპასუხა ანდრეი პეტროვიჩმა.

—ივან სემეონიჩმა შეურაცხებით გაიცინა და ხელი დაიქნია.

—მეც დამავიწყდა რომ თქვენ არსად არა ყოფილხართ; თქვენ იმას აქეთ ვერაფერს ვერცა გაიგებთ ჩვენსას, თქვენ სიცოცხლეში მგონიასი არაფერი არ გინახავსთ . პალკინის ტრაკტირში არის ერთი ოთახი რომელიცა ჰგავს ამ გოსტინას.—ვახშამი მოიტანეს, პიროჟელათ, ზაკუსკა, სოკოები. თევზი სხვა და სხვა ნაირი სამ ნაირი არაყი . მე სამივე გავსინჯე კისერზედ თითი დაიკრა. ამიტომ რომ არ შეიძლება, იმისთანა ხალხია, მთხოვდნენ უთუოთაო, დედა ძალიან კეთილია, ქალი ხომ რა!. . დაიქნია ხელი . გახშმათ კოტლეტები, აი კოტლეტი, სრულიად არა ჰგავს, ღორ ლისხოვის გაკეთებულს თავის ხელებითა, კატლეტის შემდეგ, ხერესი, შემდეგ შემწვარი ხორცი კიდევ ხერესი, შემდეგ ფესვებზედ დაყენებულ არაყი ისეთი რაკი დალევ ერთ რუმკას, თუნდ მთელ სადღათს ჩაჭყლაპამ.

—ფესვებზედ დაყენებული მაჭარი იქნებოდა! უთხრა ფლეგმატიკმა ანდრეი პეტროვიჩმა მერე თქვენ როგორ მოხვდით იმათსა?

ივან სემეონიჩმა გაიცინა და მოუკიდა პაპიროზსა

—როგორ? მოვხჳდი იმიტომ რომ აქ არის! და-იკრა ხელი შუბლზედ მოვხჳდი იმიტომ რომ ვიცი სა-ცა ზამთრივ კიბორჩხალები იბუდებენ, მოვდიოდი ბე-ნერის ქუჩაზედ ხაზინადრისაკენ დავბრუნდი, ჯამაგი-რებს ურიგებდა. თქჳენ თითონ იცით მე მივიღე სამი მანეთი და სამი შაური დავღონდი; თავში მიტრიალებს, სარეცხის მრეცხავი, მეჩექმე, პარტნოი და სხჳანი, არ ვიცოდი რა უნდა მექნა მოვდიოდი და ვფიქრობდი ჩემს მდგომარეობას, ვფიქრობდი შევბრუნდე გრიშკასთან და გადავკრა არაყი, იქავე ბესმით ტრაქტირი სდგას, კარგის ცხენებით, ნალის ფერი შუა ცხენი მალიან კარგი იყო და გულიც მალიან კარგათ ეჭირა. კუჩერსა ვკითხე-ვისია? პოლკოვნიკი რაზლუდიავის მეუღლისაო მიპასუხა შევედი, ვხედამ ორი ქალია, კანფეტებს ყიდულობენ. მე ერთი რუმკა გადავკარი და შავხედე იმათ, მინდა პაპი-როზს მოუკიდო, ვხედამ მოხუცებული დედაკაცი მოდის ჩემთან. უკაცრავათ უფალო აფიცარო, ჩემი ქმარიც ვო-ენია, მე მამულში მოვედით, ვოენები მიყვარანო, ასი ვერსია აქადან, ამ ზამთრით ქალაქს მოვედი მალიან სა-სიამოვნო იქნება თქჳენი გაცნობაო, თქჳენ აქაურ ბატალიონისა ბძანდებითო? დიახ აქაურისა! უკაცრავათ, გაგიბედამთ გკითხოთ თქჳენ რჩევა, მე მყავს ძმისწუ-ლი, უნიჭო სწავლა არ უნდა, სამი ადგილიდგან გამოა-გდეს, შეიძლება თუ არა თქჳენში იუნკრათ შემოიყვა-ნოთ, მე მაგისთანა საქმეები არ ვიცი, მალიან დამა-ვალებთო აზრის მომხსენებასა და სხვისა. მე ყველა-ფერი აუხსენი როგორც რიგი იყო, ვიფიქრე რატომ

არ უშველო მესმის ფრანციცულათ ლაპარაკობენ, ხან რას ხან რას, მეც დავუწყე ლაპარაკი თითქო დიდიხნის ნაცნობები ვიყავით და ერთად გვიცხოვრია, მე კიდევ გადავკარ იმ არაყისა ერთი რუმკა გთხოვთ როდესაც გნებავდეთ ჩუჱნსა მობძანდეთ, ჩაიზედ, ჩუჱნ ტარანტასში ადგილი გვაქუს თავისუფალიო! პატარა ხანს შედგა და რამდენჯერმე მაგრა მოსწია.

—მოითმინეთ აი აქედგან იწყობა აქ არის სუყველაფერი, აქ არის სამოთხე!., ჩამსვეს მე მოიფიქრეთ, ქალისწინ! რა მდგომარეობაში ვიყავი, გავწითლდი, ღმერთმანი გავწითლდი, თავბრუ დამესხა, ვერაფერი ვერ მოვიფიქრე. . თქუჱნ ანდრეი პეტროვიჩ სრულებით ვერ იგრძნობთ ჩემ მდგომარეობას, თქუჱნ სულ სხუა ხასიათი გაქუსთ, თქუჱნ არცკი შეგხვედრიათ ლამაზთან ლაპარაკი.

—როგორ არ შემხვედრია, აგერ მარია ტრაფიმოვნასთან, უპასუხა დაჩაგრულმა კროტიკოვმა.

—აგერ იპოვნა, ვინ დაადარა გლეხი გოგო, იმისთანა არისტოკრატის ანგელოზთან; ხელებიდგან იმას საპნის სუნი ასდის; პატიოსანს ქალს სხუა სუნი ასდის, აბა უსუნეთ კარგ ქალსა; სულ ვაშლის სუნი უდის.

ანდრეი პეტროვიჩმა გაიცინა და თავი გაიქნია.

—თქუჱნ ივან სემენიც უოკელთჳსინ ღმერთმა იცის რას იტყვით, თქუა წუნარა.

—მაშ მე ვიტყვი თქუჱნა გგონიათ.. მაშ გენერლის ცოლს რის სუნი უდის?

—ვინ იცის რის სუნი უდის, დუხისა მგონია.

—არა, დუხისა არა, გესმით თუ არა პატიოსან ქალს თავისი სული უდის, თქჳენ რაც უნდა ბევრი დუხი და-ისხათ ის სული არ აგედინებათ.

—ანდრეი პეტროვიჩს შერცხვა.

მივედით განაგრძელა ბუბნიკოვმა. ჩაი მოგვართვეს; გოგოც ლამაზი ყოლიათ. ეშმაკი უნდაკი იყოს.. დავე-ლაპარაკე ქალსა, რა ჭკჳანია, რაზედაც გინდა ელაპარაკე, თუნდ ფილოსოფიაზედ.. იჯდა აი ესე დაბძანდით ანდ-რეი პეტროვიჩ...

ანდრეი პეტროვიჩი ჩაჯდა სკამზედ.

—აქ დედა, აქ ის გოგო ტრიალებს პოდნოსით, ამბობდა ივან სემენიჩი და ხელით უჩჳენებდა: მე მა-რცხნივ ვიჯექი; პარიჟზედ დავიწყეთ ლაპარაკი როგორა სწერენ იქ ნაპოლეონზედ გაზეთებში.

—თქჳენ ხომ პარიჟში არა ყოფილხართ. შენიშნა ანდრეი პეტროვიჩმა.

—რა უყოთ რომ არა ვყოფილვარ, განა იმაზედ არ შეიძლება ვილაპარაკოთ სადაც არა ვყოფილვარ. თქჳენ კავკაზში არა ყოფილხართ მაგრამ ჩერქეზებზედ ლაპა-რაკობთ, და ჩერქეზულ ახალუხსა ატარებთ.

—ჩერქეზებს სუყველანი იცნობენ იმისთანა ხალხია, უწინდელებრივ წარმოსთქჳა კროტიკოვმა.

—პარიჟიკი არ იციან? ლონდონიც იციან?იტალიაკი არ იციან?აი რას ბოდამს!აი თქჳენ არაფერი არ გისწავლიათ სალდათურ სჩის და თქჳენი ცხჳრის მეტი არა იცით რა;სიო-ცხჳლის სხჳა რა არაიყოსრა;რომ გესწავლათ შეიტყობდით რომ იმისთჳს არის გეოგრაფიის სწავლა, რომ შემოგხე-

დოს თქუენ, არ არის სასიამოვნო თქუენი ყურება.

—თქუენ არ მიყურებთ, უპასუხა ანდრეი პეტროვიჩმა.

—როგორ არ გიყურო? მინდა გაგანათლო, სჯობიან მითხრა მადლობა.

—მე თქუენი განათლება არ მინდა. . მე არა ვხედამ საჭიროდ თქუენ განათლებასა; თქუენ გგონიათ მე აი სრულიად სულელი ვიყო.

—რასაკვრლია ხართ.

—ანდრეი პეტროვიჩი ცოტათ გაყვითლდა.

—რათა, აი თქუენ თითონ უმიზეზოთ იწყობთ ლანძღვას.

—ო ვილანძღები; რომ არ შეიძლება უიმისოთ; თუ არაფერი არ იცით სჯობიან დაჩუმდე.

—თქუენც დაჩუმდით, თუ მე სულელი ვარ მაშ არა ღირს ჩემთან ლაპარაკი, დაჩუმდი სჯობს! წარმოსთქუა ანდრეი პეტროვიჩმა ხმის კანკალით.

—ივან სემეონიჩი თაკილით მიბრუნდა და მართლად დაჩუმდა.

ორივე მეგობარი ისხდნენ რამდენიმე ხანი. შემდეგ გაავსო ჩიბუხი თამბაქოთი მეოთხეთ შევიდა ღრმა ფიქრში, მხოლოდ ხანდისხან ქურდულად შეხედამდა ივან სემეონიჩსა. ივან სემეონიჩი ფიქრით აღტაცებული იყურებოდა ფანჯარაში და თითებით აბრახუნებდა. ბოლოს პირველი წამოდგა და დაიწყო ოთახში სიარული; მეორემ დაიწყო პირველათ სტვენა, მერე სიმღერა, და გაათავა იმითი რომ დაწვა კრაოტზედ.

მხოლოდ სადილზედ კიდევ შერიგდნენ ანდრეი პეტ-

როვიჩმა უთუოთ რადგანაც ჯამაგირი მიიღო გაპურადდა და გაგზავნა ორი ბოთლი პივისათვის, და იმითი სრულებით დაასწყნარა თავისი გაჯავრებული ამხანაგი.

ივან სემეონიჩმა ხელახლად დაიწყო გამოხატვა თავის აზრისა და ფიქრი ახალ ნაცნობობისა რაზლულიაევისას.

—ანდრეი პეტროვიჩი სრულიად მზგავსად უგდებდა ყურსა და აღარაფერს აღარ უპასუხებდა, მხოლოდკი ხან-დის ხან იცინოდა და აგულიანებდა.

(განგრძელებ შემდგომ იქნება.)

თ. დ. ხიმშიაშჳლი.

## რედაქციისაგან.

ვისაც აქამდინ ფული არ შემოუტანია და ჟურნალიკი ეგზავნებათ, უმორჩილესად ვთხოვთ გამოგზავნონ დროთი რედაქციაში, თორემ შემდგომ ნომერი აღარ მიერთმევათ. რედ.

## სხუა და სხუა ამბავი:

1,—მოსავალი.—თ. დ ხიმშიაშვილისა—2. რედაქციისაგან.

---

**1 8 6 4 წლის**

### «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით. 7 მან.

სხუა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით. 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს გერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ვთხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით: «ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою. 1864. г. 22. Іюня.